ოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 6 29 ივნისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: ნაცია ისტორიის გზაზე, **ონ—ისა.**—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში და რუსეთში. ცოტა რამ საზღვარ-გარეთის სამღვდელოებაზე (წერილი ვენიდან), მ. **მგალობლიშვილის.**—ალაზნის ველი (ლექსი), **ს. ლანდისა.**—ჟურნალ-გაზეთებიდან.—პროვინცია.—მასწავლებელი (მოთხ.), **მ. პართენაშვილისა.**—ხმა სოფლის მასწავლებლისა, **ტესი.**—შენიშვნა, **არისტიდისა.**—განცხადება.

„**ჩვენი ქვალის**“ რედაქცია აცხადებს პროვინციის ხელის მომწერთა და კორესპოდენტების საყურადღებოთ, რომ ფული და წერილები გამოგზავნონ ამადრესით: Тифлисъ Книжный магазинъ „Сорапань“ **Рахиль Каландадзе.** წინააღმდეგ შემთხვევაში ფული და წერილები ვერ მიაღწევს თავის მიზანს.

ჩვენი თანამშრომელი დოქტ. **ივ. გომართელი** დროებით პეტერბურგში წავიდა.

III. ნაცია ისტორიის გზაზე.

1.

პირვანდელ კომუნიზმისა, მონობისა და ფეოდალიზმის ხანაში

ნაცია ისახება საკაცობრიო განვითარების იმავე საფეხურზე, რომელზედაც ისახება ადამიანთა თვით საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; ე. ი. როდესაც ადამიანთა არსებობის უმთავრეს წყაროთ ხდება **შრომა**. უკანასკნელი პირველიდანვე ჩნდება, როგორც რამოდენიმე ადამიანის შეთანხმებულ-შეერთებული მოქმედება ამა თუ იმ საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, და არა როგორც განკერძოებულ ადამიანის განკერძოებული საქმიანობა. ასე რომ საზოგადოებრივი შრომა, საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, საფუძველია აგრეთვე ნაციის წარმოშობისა.

პირვანდელი საზოგადოება, როგორც ვიცით, წარმოადგენს საგვარეულოთა ჯგუფებს ანუ უკეთ კავშირებს, რასაც ეწოდება ტომი. საგვარეულო არის ერთი დიდი ოჯახი, ან კრებული იმ პირთა, რომელნიც ერთ და იმავე მშობლებისაგან არიან წარმოშობილნი. როდესაც ერთი საგვარეულო საკმაოთ მრავალ-რიცხოვანი ხდება, იგი იყოფა; მისგან გასული ჯგუფი ცალკე საგვარეულოს ადგენს. თავის მხრივ ტომიც გამრავლებასთან ერთად ნაწილდება ტომებათ. თავის-თავად ცხადია, რომ საგვარეულოს შიგნით და საგვარეულოთა შორის საკმაოთ ხშირი და მჭიდრო ურთიერთობაა. აქ საერთოა შრომა, ნაშრომით სარგებლობა, სიამოვნება—დღესასწაულები, მტერთან ბრძოლა და სხ. ტომთა შორის კი ურთიერთობა უფრო ბოში, უფრო იშვიათია. ზოგჯერ ეს ურთიერთობა სრულიად სწყება, მაგრამ ზოგჯერ ტომები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და საერთო კავშირს ადგენენ; ამის გამომწვევია გარეშე მტერთან ბრძოლა და ან ბრძოლა ბუნების რაიმე ძლიერ მოვლენებთან. ასეთი შემთხვევები როცა ხშირათ მეორდებიან, ტომთა

კავშირი ხდება მუდმივი, რამდენიმე ტომი იქცევა ერთ ხალხად, ერთ ნაციად.

თქმა არ უნდა, რომ პირველყოფილი ნაცია არ არის ერთ განსაზღვრულ ტერიტორიასთან მჭიდროთ შეკავშირებული. ამას ჯერ არ მოითხოვს საზოგადოებრივი შრომის ვითარება. ხალხის **უმთავრესი** საცხოვრებელია თევზაობა, ნადირობა, მწყემსობა—საქონლის მოშენება. ამიტომ იძულებულნი არიან ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა-გადმოსვლას, მომთაბარეობას, ან მდინარისა და ზღვის პირათ მოგზაურობას—გარემოებისა და სეზონის მიხედვით. აქ ხალხის ერთობა, უწინარეს ყოვლისა დამყარებულია საერთო ჩამომავლობა-გვარტომობაზე, სისხლის ნათესაობაზე. მარა აქ უკვე მოიპოვება სხვა, წმინდა სულიერი, ერთობაც. უკვე არსებობს რამოდენათმე საერთო ენა, საერთო რელიგიოზური წარმოდგენანი, საერთო შეხედულება ზნეობასა და უზნეობაზე, დანაშაულობაზე და მოვალეობაზე და სხ. და სხ. ერთი სიტყვით არის სულიერ კულტურის ელემენტები, რაიც საუკუნოების განმავლობაში ერთი თაობიდან მეორეზე გადაეცემის ფიზიკურ თვისებებთან ერთათ. იმ დროის საზოგადოებრივი შრომის წეს-რიგი, რასაც ეწოდება პირვანდელი კომუნიზმი, ე. ი. საერთო შრომა და საერთო ნაშრომით თანასწორი სარგებლობა, რასაკვირველია, ჰბადებს შესაფერ ტიპს ადამიანისას. „თუ როგორ ვაჟკაცებს და როგორ ქალებს წარმოშობს ასეთი საზოგადოება,— ამბობს ენგელსი—ამას კარგათ მოწმობს ყველა თეთრების (ევროპიელების) განცვიფრება წინაშე გაუფუჭებელ ინდიელებისა; ამ ბარბაროსების პირადი ღირსება, პირდაპირობა, ხასიათის სიმტკიცე და მამაცობა ყველას საოცრათა აქვს. მამაცობის მაგალითები ამას წინადაც ვნახეთ აფრიკაში. ზულუსებმა, რამდენიმე წლის წინათ, როგორც ნუბიელებმა, ამ ორი თვის წინათ,—ამ ორივე ტომში ჯერაც არ გამქრალა საგვარეულო წყობილება—ამათ ჩაიდინეს ის, რასაც ვერ შეიძლებს ვერც ერთი ევროპიელი ჯარი. ხელჩართულ ომში მთელ ქვეყანაზე სახელ-განთქმულ ინგლისის ქვეითა ჯარი იმათ „მაგაზინის“ თოფებით უშენდა ტყვიის სეტყვას და ისინი კი (ზულუსები) უთოფოთ, შეიარაღებულნი მხოლოთ შუბებითა და შვილდ-ისრებით მიდიოდენ მოწინააღმდეგეთა თვით შტიკებამდის და, მიუხედავათ შეიარაღების ასეთ კოლოსალურ უთანასწორობისა, არა ერთხელ მოახდენდენ ინგლისის ქვეითა ჯარის არევ-დარევას და უკუქცევას... „იმის (აფრის—სამხრეთ აფრიკელია) თითეული, თვით მცირედი მუსკული გამონაკვთილია, გამოწრთობილი და მაგარი, ვით ჭაპანი“...*) პირველ ყოფილი, კომუნისტური საზოგადოება, არ მცოდნე სიმდიდრე-სიღარიბისა და მონობისა, რასაკვირველია, ადამიანებს უვითარებს თავისუფლებისადმი სიყვარულს, უნერგავს გრძნობას სოლიდარობის და ძმობისას.*)

*) იხ. ფრ. ენგელსის „Происхожденіе семьи, частной собственности и государства“ გვ. 83-4. აქ აღნიშნული მაგალითი დიდათ საგულისხმოა. თუ აფრიკის ველურებიც კი ასეთი თავგანწირულებით ეკვეთებიან მაღალ კულტურასან ინგლისელებს, ცხადია, ის აზრი, ვითომ როდესაც მაღალი კულტურა დაბალში შედის, იქ ხალხი მწარეთ აღარ განიცდის ეროვნულ მონობის ტანჯვა-მწუხარებასა, ეს აზრი ცხადია ზოგიერთ ჟურნალისტის... შეცდომა უნდა იყოს.

მაგრამ აქ ჩვენ სახეში არა გვაქვს მკითხველს განუმარტოთ, თუ სახელდობრ როგორ ხასიათს უვითარებს ნაციას სხვა და სხვა საზოგადოებრივი წყობილება. ამ წერილში ჩვენ აღვნიშნავთ მარტო იმ საერთო გზას, რომლითაც მიდის ნაციებისა და მათი ნაციონალურ ხასიათის განვითარება.

მაშ დავიხსომოთ, რომ პირველ-ყოფილ კომუნიზმის დროს უკვე მოიპოვება კულტურული ელემენტები, რომლის ერთობა ჰქმნის ხასიათის ერთობას, რაიც თავის მხრივ ხალხსა ჰქმნის ერთ ნაციათ. ხოლო ეს კულტურული ერთობა კი საესებით დაყრდნობილია ჩამომავლობის, ნათესაობის ერთობაზე. საკმაოა ხალხის რომელიმე ნაწილებ შორის შეწყდეს ქორწინება, რომ უმალვე გაჩნდეს დაშორების და განსხვავების ტენდენცია; ეს ნაწილები იწყებენ განსაკუთრებულ ფიზიკურ ტიპის შემუშავებას, ჩნდება განსაკუთრებული კილოკავი, განსაკუთრებული კულტურული ელემენტები, ერთი სიტყვით იწყება ახალი ნაციის განვითარება და კიდევაც ჩნდება ახალი ნაცია, უკეთუ საერთო ჩამომავლობის მექონე, მარა დაშორებული ნაწილები, კვლავ არ დაუახლოვდებიან რაიმე გარემოების წყალობით, როგორც მაგ. საერთო გარეშე მტერთან ბრძოლის საჭიროება და სხ. ამ გვარათ, როდესაც კულტურა ჯერ სუსტათ არის განვითარებული, როდესაც ერი წარმოადგენს უფრო ბუნებრივ, ჩამომავლობითი ერთობას, ვინემ კულტურულ ერთობას, ასეთი ერი თავის საშოშივე ატარებს ნაციონალურ დაშლა-დარღვევის ელემენტებს.

მაგრამ კულტურა თან და თან ვითარდება, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელოვან როლს იჭერს და შეუძლებლად ხდის ნაციის დარღვევას იმის დაგვარათ, როგორც ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, რასაც, როგორცა ვთქვი, აწარმოებს საზოგადოებრივი შრომის განვითარება.

მიწათ-მოქმედება, რომელიც ისახება აგრეთვე პირველყოფილ კომუნიზმის დროს, თან და თან წარმატებაში მიდის და ბოლოს ხდება საზოგადოების არსებობის უმთავრეს წყაროთ. შრომა უკვე იმდენ ნაყოფიერებას აღწევს, რომ ადამიანის ნაწარმოები აღემატება იმას, რაც საჭიროა პირადათ მშრომელის სარჩენათ. სასარგებლო ხდება ომში დატყვეებულთა მუშა-ხელათ გადაქცევა. მონების გაჩენა კიდევ უფრო ანაყოფიერებს შრომას, მატულობს ქონება-სიმდიდრე, რაიც მეზობელ ხალხთა შორის აძლიერებს მტაცებლობის სურვილს, მატულობს

**) სხვათა შორის, ნ. ზიბერს მოყავს ასეთი მაგალითი. ევროპიელი მგზავრი ერთ დასს ველურებისას შესთავაზებს ბოთლ ლიკიორს. ველურები მოირიბებენ ბოთლს. მაგრამ აი ველური ხედავს, რომ უკანასკნელ ამხანაგისთვის სასმელი აღარა რჩება; იგი თავის წილს სრულად აღარ ყლაპავს, პირში დაიგუბებს და პირიდან ასმევს ბოლოს დარჩენილ ამხანაგს. („Очерки первобытной культуры.“)

ომიანობის საბაბი თუ მიზეზი, ხშირდება და მწვავდება თვით ომიანობაც. მაგრამ ტეხნიკა უკვე იმდენათ განვითარებულია, რომ სამუშაო იარაღები აღარ გამოდგება საომრათ. ომში გასასვლელათ საჭიროა განსაკუთრებული შეიარაღება. გარდა ამისა, მეურნეობის ხანგრძლივათ მიტოვება იმდენათ ახდენს საქმეს, რომ განსაცდელში აგდებს თვით მეურნისა და მის ოჯახობის არსებობას; მეურნე ერთიანათ მიკერებულია სამუშაო მიწაზე და მთელი ხალხიც—განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიის და ქონება-სიმდიდრის დასაცავათ ჩნდება განსაკუთრებული კატეგორია ადამიანთა (სამხედრო წოდება), რომელთაც ამ საპატიო სამსახურისათვის მეურნენი კმაყოფილებით აძლავენ საჭირო სარჩო-საბადებელს. კლასებისა და სპეციალობის, პროფესიების გაჩენა, რასაკვირველია, ჰბადებს ინტერესთა წინააღმდეგობასაც, ათასგვარ დავი-დარაბას, ართულებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, ართულებს და ხლართავს მართვა-გამგეობის საქმეს. ამ საზოგადო საქმეების გასაძღოლათ საჭირო ხდება განსაკუთრებული ცოდნა, გამოცდილება და უნარი. ამ საქმეებისათვის გლეხებს ეკარგებათ სურვილიცა და საშუალებაც. ამიტომ გამგეობა, მოსამართლეობა, კანონმდებლობა და თვით რელიგიოზური ფუნქციების ასრულება გადადის განსაკუთრებულ, სპეციალურ კატეგორიის ადამიანთა ხელში. ასე წარმოიშობება არისტოკრატია და სამღვდელოება; ამათი სიმდიდრე, ძალა და გავლენა უფრო და უფრო იზრდება, იზრდება და ვითარდება მათი ცოდნა და გამოცდილებაც. მათ არ სჭირდებათ ფიზიკური მუშაობა; მათ ბევრი თავისუფალი დრო აქვთ აზრისა და გრძნობის სავარჯიშოთ და განსავითარებლათ. ხელოვნება, ფილოსოფია და მთელი სულიერი კულტურა იმათ ხელშია, ისინი აწარმოებენ ნაციის სულიერ განვითარებას.

საშუალო საუკუნოების ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური წყობილება, ბატონ-ყმურ-ფეოდალური ცხოვრება, იმ დროის საზღაპრო კარ-ჩაკეტილობა კარგათ არის ცნობილი. თვითეული სოფელი თუ თემი სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია, რადგან საკუთარი ძალღონით იკმაყოფილებს თავის ყოველგვარ საჭიროებამოთხოვნილებებს. თვითეულ რაიონის მებატონე პატარა მეფეა თავის საბრძანებელში; იგია თავის ქვეშევრდომთა ერთად-ერთი მოსამართლე, კანონ-მდებელი და მმართველი; იგივეა ჯარის უფროსი, მთავარ-სარდალი. საკმაოთ განვითარებული ხელოსნობა რამოდენათმე იწვევს ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლას, აღებ-მიცემობას სამიმოსვლო გზებს მხრივ განსაკუთრებულათ მარჯვე ადგილი, ვინმე საერო თუ სასულიერო ფეოდალის სასახლის მახლობლათ, იქცევა სავაჭრო პუნქტათ. აქ გროვდება საკმაოთ თვალ-წარმტაცი სიმდიდრე, რის დასაცავათ საჭირო ხდება ციხე—გალავანის გაკეთება. ასე შენდება ქალაქი. აქ თავს იყრიან საუკეთესო ხელოსნები, რომელნიც ეწყობიან ამქრებათ. ამათ ნაწარმოებით სარგებლობენ როგორც ქალაქის მცხოვრებნი, ისე ახლო-მახლო მდებარე სოფლები. ზოგჯერ სოფლიდან ქალაქში მიაქვთ ნედლი, დასამუშავებელი მასალა. მაგრამ ქალაქსა და სოფელ შორის ურთიერთობა მაინც მეტათ სუსტია. ქალაქის ნაწარმოების მომხმარებელი განსაკუთრებით თავად-აზნაურობაა. გლეხები საკუთარი ნაწარმოებით იკმაყოფილებენ ყველა თავის მოთხოვნილებებს. ხალხის საარსებო წყარო უმთავრესად მიწათ-მოქმედებაა, სოფლის მეურნეობაა და ისიც ნატურალური მეურნეობა, ე. ი. წარმოება თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამიტომაც, თითქმის მთელ ფეოდალურ ეპოქის განმავლობაში, რომლის ქვაკუთხედია გლეხური და ხელოსნური ფორმა წარმოებისა, აღნიშნული კარ-ჩაკეტილობა ხელ-უხლებელი რჩება. გლეხისა თუ ხელოსნისათვის თითქმის მთელი ქვეყანა თავდება იმის სოფლისა თუ ქალაქის საზღვრებთან. ამ დამოუკიდებელ თემთა შეერთებას და ისიც დროებით იწვევს მხოლოდ გარეშე მტერთან ანუ შეიძლება აგრეთვე ბუნებასთან ბრძოლა. მუდმივი ურთიერთობა კი აქ არ არსებობს. მაგრამ თუ მშრომელი ხალხი, დანაწილებული დამოუკიდებელ სოფლებათ და ქალაქებათ დაშორებული თითქმის განცალკევებულია ერთმანეთისაგან, ესევე არ ითქმის მაღალ და პრივილეგიან წოდების ხალხზე, თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაზე. ეს ბატონები ხშირათ ხვდებიან ერთმანეთს როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს. მათ შორის მიმოსვლას ამტკიცებს და მჭიდრო კავშირს აბამს მწერლობა, პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფია და სხ. მაღალი წოდების ბატონებივე არიან მატარებელნი და პირდაპირი შემოქმედნი მთელ სულიერ ნაციონალურ კულტურისა; ამაში თითქმის არავითარ **პირდაპირ** მონაწილეობას არ იღებს მშრომელი ხალხი; იგი, ასე ვთქვათ, გარიყულია ნაციანალურ კულტურიდან, მას სამისოთ არა აქვს დრო, რადგან დილიდან საღამომდის შთანთქმულია ფიზიკურ შრომაში თავის თავისა და ბატონების სარჩენათ.

აქ იბადება ერთი დიდი საკითხი.

ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც არ არის კულტურული ერთობა, იქ არ არის არც ნაციონალური ერთობა, იქ არ არის თვით ნაცია. რაღას უნდა წარმოადგენდეს ნაცია აღნიშნულ ეპოქაში? ოტტო ბაუერის აზრით ამ დროს ნაციონალურ ხასიათის მატარებელია მხოლოთ გაბატონებული წოდება. „გლეხებს არავითარი წილი არ უდევთ იმაში, რაც აერთებს ნაციას“, ამიტომ „გერმანელი გლეხები იმ დროს არც შედიან ნაციაში, ისინი არიან მხოლოთ ნაციის ბოლოში მიგდებულნი, ნაბოლარები (Hintersassen)“*). ოტტო ბაუერის აზრით ასეა საქმე თვით კაპიტალიზმის პირველ ხანებშიაც. იმის საჩვენებლათ, თუ გლეხობა რამდენათ განდევნილია ნაციონალურ კულტურიდან, ის გერმანელ ვაჭრებისაგან გამოთქმულ შაირსაც კი გაიხსენებს გლეხების შესახებ:

„გლეხნი იგია, რაც რომ ხარები,
მხოლოთ მათ თავზე არა აქვთ რქები“.

*) Die Nationalitatenfraqe und die Socialemokratie. გვ. 43—44.

ბაუერის აზრით თვით დღევანდლამდისაც კი საქმე არსებითათ არ შეცვლილა. „არსებითად - განაგრძობს იგი—ჯერ კიდევ დღესაც საქმე ისეა, რომ ნაციონალური კულტურა არის გაბატონებულ კლასების კულტურა, ნაციას—რომელიც გაგებულ უნდა იქმნას, როგორც კულტურული ერთობა,—არ ეკუთვნის ხალხის ფართე მასსა; ეს მხოლოთ ნაციის ნაბოლარაა, ამ მასის ექსპლოატაციაზე კი, რასაკვირველია, დაყრდნობილია ამაყი შენობა ნაციონალურ კულტურისა, საიდანაც იგი ჯერ კიდევ განდევნილია“ *), ჩვენის აზრით, ამ ციტატაში უტყუარი ჭეშმარიტება იმდენათ არის გაზვიადებული, რომ იგი ჰკარგავს სიმართლეს. სრულ შეცდომათ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ „ნაბოლარები“ არ ეკუთვნის ნაციასო. თქმა არ უნდა, რომ კლასიურ საზოგადოებაში მშრომელ ხალხს ნაციის ნივთიერ და სულიერ სიმდიდრიდან წილათ ხვდება მხოლოთ ნამცეცები, ამ აზრით იგი ნაციონალურ ცხოვრებიდან გარიყულია, იგი ნაციის ნაბოლარაა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მაინც შემადგენელი და შემოქმედი ნაწილია ნაციისა, არა მარტო თავისი ფიზიკური შრომით, არამედ აგრეთვე თავის პსიხიური ცხოვრებით, მთელი თავისი არსებით. კლასების გაჩენა, ეჭვს გარეშეა, ნაციონალურ ერთიანობას არღვევს, მარა მიუხედავათ ამისა, განსაზღვრული ერთობა მაინც არ ისპობა. ამას ნათლათ განგვიმარტავს შემდეგი პატარა მაგალითი. ყველას, ვისაც კი შესწევს რამოდენიმე უნარი დაკვირვებისა, ეცოდინება ასეთი შემთხვევა. ორი ადამიანი, ერთი და იმავე დედ-მამის შვილები, დიდათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან არა მარტო გარეგანი სანახაობით, არამედ აგრეთვე პსიხიურათაც; ერთი უვიცი-უსწავლელია, მეორეს კი უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღია; ამ ორ ადამიანში ისე დიდი განსხვავებაა, თითქოს მათ შორის მთელი უფსკრული იყოს გათხრილი. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათი პსიხიური ვითარება, ბუნება, ხასიათი გასაოცარ მზგავსებასა და ერთობას წარმოადგენს. ასეა არა მარტო იმის გამო, რომ ისინი ერთი და იმავე დედ-მამის შვილები არიან (მაშასადამე მემკვიდრეობით მიუღიათ საერთო თვისებები), არამედ აგრეთვე ამიტომაც, რომ მათ საერთო ოჯახის ბევრი საერთო ჭირ-ვარამი, სიხარული თუ მწუხარება და თავგადასავალი განუცდიათ.

ის, რაც მართალია კერძო ინდივიდებისათვის, შეუდარებლათ მეტათ მართალია მთელი ნაციისათვის. ამის კლასები, რაც უნდა გათიშული იყვენ ეკონომიურათ და კულტურულათ, ისინი მაინც ერთი და იმავე საზოგადოების ბედ-იღბალის, თავ-გადასავალის და ერთ და იმავე ისტორიის ნაყოფი არიან; რაც უნდა დაბალი და ნაბოლარა იყოს კლასი, იგი მაინც სრულიათ არ არის მოკლებული ნაციონალურ კულტურის ზე-გავლენას. ეს უკანასკნელი უხილავი მილებით ეგზავნება მეტ-ნაკლების ძლიერებით, რასაკვირველია, მაგრამ—უეჭველათ ეგზავნება—ნაციის ყველა ადამიანებს. აქ არ შეგვიძლია არ დავიმოწმოთ ჟორესის შემდეგი მკვეთრი სიტყვები: „მაგრამ, ბატონებო, მუშები, მშრომელი ხალხი სამშობლოსთან ერთობაში არიან... სამშობლოსთან აახლოვებს მათ თვით სფერა აზროვნების მოქმედებისა. თუმცა ზემბა მართალი იყო, როცა განაცხადა, რომ მუშებისათვის, პროლეტარებისათვის, რომელნიც დღევანდლამდე უკიდურესათ უვიცნი არიან ან და ერთიანათ შთანთქმელნი ყოველ დღიურ ლუკმა პურისთვის მზრუნველობაში, ამ მუშებისათვის სრულიად მიუწდომელია მშვენიერება იმ დიად ნაწარმოებთა, სადაც აღბეჭდილია საფრანგეთის გენიოსობაო; მაგრამ არა მარტო ლიტერატურის საშუალებით, არამედ აგრეთვე ცოცხალი და რეალური ტრადიციით საფრანგეთის შემოქმედებითი აზრები თან და თანობით ეწვეთება-ექსოვება მუშათა კლასის ცნობიერებაში. მე-XVIII-ე საუკუნის მუშები, რასაკვირველია, ძალიან ნაკლებათ კითხულობდენ ვოლტერსაც, რუსსოსაც, დიდროსაც და ენციკლოპედისტებსაც; მაგრამ როდესაც იფეთქა რევოლიუციამ და შემდეგაც რევოლიუციის მთელი დროის განმავლობაში რაკი საჭირო გახდა რევოლიუციონურ თავისუფლების დაცვა წინააღმდეგ ეკლესიისა, მუშები რამდენსამე თვეში გაიმსჭვალენ ვოლტერის კრიტიკის სულით; და მხოლოთ ჩვენ მუშებ შორის შეირჩინა მან (ვოლტერის კრიტიკამ) მთელი ძალა თვისი ზე-შთაგონებისა“ და სხ.*).

რასაც აქ ჟორესი ამბობს დღევანდელ და მე-18-ტე საუკუნის მუშების შესახებ, იგივე უნდა ვთქვათ ყველა ეპოქის მუშა ხალხზე. ამას ნაციასთან აერთებს „თვით სფერა აზროვნების მოქმედებისა“. უხილავი მილებით, ცოტ—ცოტაობით და თან და თანობით ნაციონალური კულტურა ეწვეთება და ექსოვება მის ცნობიერებას, ამასთანავე, ეს ზე-გავლენა რაც დრო მიდის, იმდენი უფრო ძლიერდება; რამდენადაც ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, რამდენადაც იზრდება და ვითარდება თვით კლასიური წინააღმდეგობანი, იმდენათ მუშა-ხალხი უფრო მეტი, უფრო ფართე მონაწილე და თანაზიარი ხდება ნაციონალურ კულტურისა....

ონ.

*) იქვე. იხ. აგრეთვე გვ. 66, 72—73.

*) სიტყვა წარმოთქმული პარლამენტში 8 და 15 დეკ. 1895 წ. „Интернаціонализмъ и патріотизмъ“ გვ. 33-4.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

ხუთშაბათს, 26 ივნისს, შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც უკვალოთ დაიკარგა ჩვენი საზოგადო მოღვაწე-მწერალი ი. გ. მაჩაბელი. მაჩაბელი დაიბადა გორის მაზრაში სოფ. თამარაშენში 1854 წ. 16 წლისამ გაათავა გიმნაზია. ერთის წლის შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკო-მათემათიკურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს მშვენიერათ შეის-

წავლა ინგლისური და ნემეცური ენები. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მიემგზავრება საზღვარ-გარეთ და შედის გოგენგეიმის აკადემიაში. სპეციალურათ სწავლობს მეურნეობას, ამის შემდეგ მიდის საფრანგეთში, საიდანაც ბრუნდება პეტერბურგს. აქ იმან ჩაუდგა სადირკველი ქართულ **სპექტაკლებს**, რომელიც ეხლა თითქმის ყოველ წლობით იმართება პეტერბურგის სტუდენტთა სასარგებლოთ. პეტერბურგში გაიცნო ი. გ. ჭავჭავაძე, რომელთან ერთად გადათარგმა ქართულ ენაზე შექსპირის დრამა „კორიოლ ლირი“. მაჩაბელი ბრუნდება სამშობლოში. ის დანიშნულ იქნა სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორათ, ი. ჭავჭავაძის რჩევით ამ თანამდებობას თავს ანებებს და შედის კასსირათ სათავად-აზნაურო ბანკში. იღებს მონაწილეობას გაზ. „ივერიაში“. ისევ აწარმოებს რამდენიმე წელიწადს გაზ. „დროება-“ს, რომელიც გადასცა მას ს. მესხიმ. ივ. მაჩაბელმა სთარგმა ქართულათ „ჰამლატი“, ოტელო“, „მაკბეტი“, „იულიოს ცეზარი“ და „რიჩარდ მესამე“. ბანკში სამსახურის დროს მას დიდი უთანხმოება მოსდის ი. გ. ჭავჭავაძესთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ი. გ. მაჩაბელი უკვალოთ დაიკარგა. („Зак.“)

—

24 ივნისს მოხდა კრება თავად-აზნაურთა წინამძღოლ დეპუტატების და გამგე კომიტეტისა ქართულ თეატრს საიჯარათ მიცემის შესახებ. კრებამ განიხილა ის პირობები, რომელიც მათ დაუდო მოიჯარადრე ქ-ნ ივორსკაიამ. უკანასკნელი კისრულობს თავის ხარჯით მოაწყოს სცენა, ყოველ წლობით აძლიოს საიჯარო გადასახადი თავად-აზნაურობას 17000 მან., უნდა შეინახოს თეატრი თავის ხარჯით და დაუთმოს ქართულ დრამატიულ დასს თვეში 6 საღამო და ორი დილა წარმოდგენებისათვის იმ ფასში, რა ხელშეკრულობასაც დასდებს გამგე კომიტეტი. კრებამ გადასწყვიტა მიეცეს ივორსკაიას თეატრი საიჯაროთ დღიდან გათავებისა 1912 წ. პირველ ივნისამდე.

—

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს 1900 წ. 1 მაისის კანონი. ამ კანონით მიწების შეძენასა და სარგებლობაში უპირატესობა ეძლევათ ადგილობრივ მკვიდრთ. თბილისის გუბერნიის მარშლის შუამდგომლობის თანახმათ ამ კომისიაში დანიშნულ იქნენ სიღნაღის მაზრის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, მ. მ. მაჩაბელი და გ. ბ. საყვარელიძე. 21 ივნისიდან უკვე დაიწყო მუშაობა.

—

28 მაისის ვაჭრობიდან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოთ შეგროვდა ჯერ-ჯერობით 680 მან. ფული კიდევაა მოსაკრეფი. შემოსავლის 5% აღუთქვეს საზოგადოებას ზეგიერთ რკინის გზის სადგურის მებუფეტეებმა.

—

სამშაბათს, 24 ივნისს, პუშკინის ბიბლიოთეკის შენაბაში მოხდა საზოგადო კრება თბ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოებისა. კრების გახსნისათანავე საზოგადოების აღმასრულებელმა ორგანომ წაიკითხა მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. კომიტეტს ჰქონია 50 სხდომა პირველ საზოგადო კრებიდან ამ დრომდის. საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 3000 მან. ამოდენავე ყოფილა გასავალი, კრებამ დაამტკიცა მოსალოდნელი ხარჯები და ინსტრუქცია მოიავარ და უბნის კომიტეტებ შორის. კარგა ხანს იქონია კრებამ მსჯელობა შანტაჟისტების შესახებ. დაადგინა პრესის შემწეობით მიმართოს მათ დანებონ თავი ცარცვა-გლეჯას და დაუბრუნდენ ჩვეულებრივ ცხოვრებას... ბოლოს აირჩიეს კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრები. კრებამ მადლობა გამოუცხადა ი. ნ. მერკვილაძეს და ამოირჩია საზოგადოების საპატიო წევრათ.

—

ნაძალადევი ჩამოაცალეს მეათე საპოლიციო უბანს და ცალკე ნაწილათ აქციეს. ნაცვლათ სამი გოროდოვოისა იქნება იქ 21; უბნის ზედამხედველი იქნება ოთხი.

—

თბილისში ისევ გაძლიერებული ჩხრეკა დაპატიმრებაა. 23 ივნისს პოლიციის მეცხრე ნაწილში დააპატიმრეს თორმეტი კაცი.

—

23 ივნისს, ქობულეთში, ვიღაც უცნობები თავს დაესხნენ ამიერ კავკასიის რკ. გზის კეროსინო პროვოდის უფროსს ინჟინერ როზენფელდს და სროლა აუტეხეს. როზენფელდი სასიკვდილოთ დასჭრეს. დასჭრეს აგრეთვე მისი ცოლი. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ.

—

სოფ. მიჯიდან (ბორჩალოს მაზრა) გვატყობინებენ, რომ საგლეხო ბანკს საბოლოოთ ჩამოურთმევია მიჯელ ქართველებისთვის 200 დესეტ. სახნავი ადგილი „ყადრიყული“, რომლითაც ისინი ას წელიწადზე მეტია სარგებლობენ და გადაუცია დალლარელ თათრებისათვის. მიჯაში ირიცხება 63 კომლი გლეხი, დალლარში 17 კომლი სცხოვრობს. ამ ნაირათ 63 კომლის ინტერესი ეწირება მსხვერპლათ 17 კომლის ინტერესებს... მიჯელებმა არ იციან საით გადაცვივდენ. მცხოვრებლები სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნი, რადგან ახლო-მახლო ადგილებში აღარ მოიპოვება სახნავათ გამოსადეგი ადგილები...

რუსეთში.

ქ. ვორონეჟში სიკვდილით დასაჯეს ქალი ფეოდოროვა, რომელმაც განიზრახა ვორონეჟის გუბერნატორის მოკვლა.

—

სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში-სამი, რიგაში-ორი, ვარშავაში-ერთი. ვილნაში-ორი.

—

სიკვდილი მიუსაჯეს: ჟიტომირში-ერთს, კრემენჩუგში-სამს; პსკოვში-გიმნაზისტ ფალევიჩს; კიევში-სამს; ხარკოვში-ორს. სევასტოპოლში-ერთს, ოდესაში-ერთს, ეკატერინოსლავში-ერთს.

—

რუენის რესპუბლიკის საქმის გარჩევა გათავდა. ოთხი გაამართლეს. დანარჩენ 65 გადაუწყვიტეს კატორგაში მუშაობა 4-15 წლამდის.

—

კიევში ჭკვიდან შეიშალა სისხლის სამართალში მიცემული ტუსაღი იუშკოვი, რომელიც ასრულებდა ჯალათის მოვალეობას. იუშკოვმა თავის კამერას ცეცხლი წაუკიდა, რომ თავისი თავი შიგ დაეწო.

—

სევასტოპოლის საზამთრო საკრებულოში უპოვიათ მრავალი არალეგალური ლიტერატურა, სტამბა 2 ფ.

შრიფტით და ბეჭედი ს.-დ. პარტიისა. დაიჭირეს ერთი მსახურთაგანი.

—

კორობოვოში (მინსკის გუბ.) ჩხრეკის დროს მძიმეთ დასჭრეს ურიადნიკი; სროლა აუტეხეს ბოქაულსა და სტრაჟნიკებს, რომელთაც თავის მხრივ სროლითვე უპასუხეს და სასიკვდილოთ დასჭრეს ერთი მსროლელთაგანი.

—

რომენის და ნიკოლაევის მაზრებში სეტყვამ გააფუჭა 11,000 დესეტ. პური და ბოსტნეულობა.

—

რიგაში დახურეს მეთევზეების სიეზდი.

—

პეტერბურგში დააპატიმრეს პირველი სათათბიროს დეპუტატი ბაბენკო, შრომის ჯგუფის წევრი.

—

ეკატერინოდარში, როდესაც მეორე სათათბიროს დეპუტატი შირსკი ციხეში მიჰყავდათ, მის ეტლს ვიღაც უცნობებმა სროლა აუტეხეს.

—

ჩერკასში ციხეში ჩასვეს პირველი სათათბიროს დეპ. ნესტერენკო.

კიევის პოკროვის მონასტერში გაჩხრიკეს მოირჩილი ქალების კელიები. ხელში ჩაიგდეს მიწერ-მოწერა.

—

„Вятская Рѣчь“-ი დააჯარიმეს 500 მან.

—

სევასტოპოლში კერძო ბინაზე დააპატიმრეს 26 კაცი. ყველამ თავის თავს ადგილობრის ს.-დ. კომიტეტის წევრი უწოდა.

—

მატარებელში უფის ახლო გაძარცვეს ორი არტელშჩიკი, რომელთაც მიჰქონდათ 36,000 მ.

—

„რუსკი ვედ.“ რედაქტორს ეპატია 1,000 მან. ჯარიმა.

ვიბორგში ირჩევა საქმე 30 დაბალ ჯარის კაცისა, რომელთაც ბრალათ ედებათ ვიბორგის მეციხოვნეთა ასაჯანყებლათ მომზადება.

—

გრიაზოვცაში თავად-აზნაურთა წინამძღოლს ვოლოცკის წარუდგინეს ბრალდება უფლების გარდამატებისათვის 1906 წ. საერობო კრებაზე, როდესაც ირჩეოდა კითხვა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ.

—

ფინლიანდიის სეიმის არჩევნებში, შარშანდელ წელთან შედარებით, ნაკლები ამრჩეველი იღებს მონაწილეობას.

—

ეკატერინოსლავში აღმოაჩინეს ყუმბარების საწყობი.

—

პოლტავის ციხეში გაჩენილა სახადი.

—

ბუზოვკაში, რიკოვსკის ერთ-ერთ მადნის მაღაროში [illegible]აფეთქდა გაზი; მაღაროში იმყოფებოდა 390 კაცი. გამოიყვანეს ცოცხლათ 73, რომელთაგან 10კ. მალე გარდაიცვალა.

—

„Рязанскій вѣстникъ“-ი დააჯარიმეს 200 მან. რადგანაც შიგ მოთავსებული იყო სტატია ეპარქიალურ არქიელზე.

—

რიგაში ცდილობენ დაარსონ რუსის ხალხთა კავშირი. ამის გამო გაცხარებული მიწერ-მოწერა აქვთ დუბროვინთან.

—

8 ივნისს, სოფ. მოსკოვსკოეში (სტავროპოლის გუბ.) რუსის ხალხის კავშირის წევრებმა მოიწვიდნენ თავიანთ ბაირაღის კურთხევა. კვირა დღე იყო. აუარებელი მლოცველი იყო შეგროვილი საყდართან. როდესაც გლეხებმა დაინახეს, რო „მოკავშირეებს“ თავისი ბაირაღი მიჰქონდათ საყდარში, იმათ ამის ნება არ მისცეს, რადგანაც ჩათვალეს ეს საყდრის შეურაცხყოფათ, დაიწყო ჩხუბი. „მოკავშირეებმა“ მიმართეს სოფლის მოხელეებს, მარა ვერც იმათ უშველეს, მაშინ „მოკავშირეებ“მა მოსთხოვეს მღვდელს, რომ მას წაეკითხა ამის შესახებ გლეხებისთვის გუბერნატორის და არქიელის განკარგულება. მღვდელი დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა „მოკავშირეებს“ და დაიწყო კითხვა. გლეხებმა მორთეს ყვირილი და მღვდლის ხმა დაჰფარეს, რადგანაც შეურაცხყოფათ მიაჩნდათ ბაირაღის შეტანა საყდარში, რაზედაც (ბაირაღზე) დახატული იყო ლომები, ვეშაპები და სხვა. ბაირაღის კურთხევა ვერ მოახერხეს. მეორე დღეს მოვიდნენ სტავროპოლიდან მთავრობის წარმომადგენლები საქმის გამოსაძიებლათ. ბევრი გლეხი დაატუსაღეს. „მოკავშირენი“ კმაყოფილნი არ არიან მათი დატუსაღებით და მოითხოვენ, სხვათა შორის, მღვდლის სასტიკათ დასჯასაც. („რეჩი“ 17,18,19,20 ივნისისა).

—

მოსკოვში მუშამ მოკლა ტრიოხგორნი ლუდის გამოსახდელ ქარხნის დირეკტორი ფეიდლერი.

—

სახელმწიფო დუმის წევრმა დეპ. საღათელიანმა მიიღო ტელეგრამა, რომელიც მოგვითხრობს ოსმალეთის ადმინისტრაციის და სულთანის ჯარის ძალმომრეობას ვანის ოლქში და ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრებზე. ტელეგრამაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ჯარი გადადის ერთი სოფლიდან მეორეში და ეძებს იარაღს, რისთვისაც გლეხებს აყენებენ წარმოუდგენელ ტანჯვა-წვალებას. ხშირათ გლეხები განგება ყიდულობენ იარაღს, რო გადასცენ მთავრობას და ამით თავიდან მოიშოროს ის. თაღირ ფაშის შვილი ჯევდედ ბეი სოფ. ხაჩანში ათი დღის განმავლობაში უბრძანებდა თავისს სალდათებს ძალმომრეობა ეხმარათ დედაკაცებზე და არ დაენდოთ პატარა ქალებიც კი. შვიდი კაცი და ორი ქალი მოკლეს ცემით. ათი დედაკაცი სიკვდილის პირადაა მისული. თავს ზარ დაცემული ბევრი თავათვე იკლავს თავს. 6 სომხის სოფელი აკლებულია და გაძარცული. ქ. ვანში მრავალი სომეხია დაპატიმრებული.

ცოტა რამ საზღვარ-გარეთელ სამღვდელოებაზე.

წერილი ვენიდან.

დღეს საყოველთაოთ ცნობილია, რომ ევროპა-ამერიკაში ბრძოლა მეცნიერების და სარწმუნოების შორის აღარ არსებობს. კარგა ხანია უკვე გათავდა ბრძოლა; ბრძოლა გათავდა და მის შემდეგ მეცნიერების სრული გამარჯვებაა აღიარებული. მეცნიერებამ შეუძლებლათ სცნო სარწმუნოებასთან შერიგება. მან განდევნა იგი ცოდნის სამეფოდან და გამოაცალა მას მკვიდრი ნიადაგი. სარწმუნოება აღიარებული იქნა მხოლოდ კერძო პირის რწმენის საქმედ. საყურადღებოა მისი გათვალისწინება, თუ რას აკეთებდა და რას აკეთებს ამასობაში ამ სარწმუნოების მატარებელ-მქადაგებელი სამღვდელოება, საით მიისწრაფვის და რა ტაქტიკას ადგია. უეჭველათ ყველგან და ყოველთვის მათი ტაქტიკა და მიზანი ერთი და იგივე ვერ იქნებოდა: იგი გამოიცვლებოდა სოციალურ-პოლიტიკურ პირობათა გამოცვლის თანახმათ, იგი ეცდებოდა ხან ძალით, და ხან ორჭოფობით ფართო მასსის გულის მოგებას და თავის ინტერესებისათვის დამორჩილებას. სწორედ ამგვარ მოვლენებს ვხედავთ ჩვენც საზღვარ-გარეთელ სამღვდელოების მოქმედება-არსებობაში.

იქ, სადაც სარწმუნოება ჯერ კიდევ სახელმწიფოს მიერ დაცულია, მისი მქადაგებლები, სამღვდელოება გვარიანათ გრძნობს თავის-თავს, თუმცა ნათლად ხედავს, რომ რაც დრო გადის მას თანდა-თან ფეხიდან ნიადაგი ეცლება და მისი წინანდელი განუსაზღვრელი გავლენა მასსაში საგრძნობელათ კლებულობს და სუსტდება. რომ ამგვარი ფართო მასსის შეუწყნარებელ გულ-გრილობას სარწმუნოებისადმი ბოლო მოეღოს და ძველებური სანატრელი დრო ბატონობისა დაიბრუნოს, ის იბრძვის და ენერგიულად ითხოვს მთავრობისაგან დახმარებას ხალხის თვალში დაცემულ სარწმუნოების აღსადგენათ. მთავრობაც მათ მოთხოვნალებებს უყურადღებოთ არ სტოვებს და მოწადინებულია ყოველი ღონე იხმაროს მათი დაკმაყოფილებისათვის, რადგან კარგათ ესმის, თუ რა დაუფასებელ სიმაგრეს წარმოადგენს არსებული წყობილების დასაცავათ და შესანარჩუნებლათ მართლ-მორწმუნე ადამიანი.

ავსტრო-უნგრეთში, დაკანონებულია უფისო სწავლა-განათლება ბავშვებისა 14 წლამდე. აქ, ამ პარლამენტარულ სახელმწიფოებში, მთავრობის და სამღვდელოების მჭიდროთ შეკავშირებულ მოქმედებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ხალხური სკოლები სავსებით სამღვდელოების ხელში გადავიდა. სამოსწავლო პროგრამა, მასწავლებლები, მართვა-გამგეობა—ყველაფერი კლერიკალურია,—და აბა ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ კი ბავშვმა გათავებისას ჯეროვანათ არ იცოდეს ცხოვრებისთვის საჭირო საგნები, სამღვთო წერილი კი, რომელიც სრულიად გამოუსადეგარი არის მისთვის ცხოვრებაში, მას გაზეპირებული აქვს; მაგრამ მთავრობას რომ უფრო მეტი მეგობრობა დაემტკიცებია სამღვდელოებისათვის, ერთი ნაბიჯიც კიდევ გადადგა წინ: ის დაეხმარა სამღვდელოებას საშუალო სასწავლებლების მართვა-გამგეობის მისაკუთრებაში. მართლაც, დღეს ბევრი ამ სასწავლებელთაგანი კლერიკალების ხელში გადავიდა და საქმის გამწესრიგებელიც იგივე სამღვდელოება გახდა. ამ გვარი გამარჯვებით აღფრთოვანებული, სამღვდელოება ეხლა ახალი იმედებით, ახალი სურვილებით იმსჭვალება. მოპოვებული მათთვის ცოტა გამოდგა, და ეხლა თვით მეცნიერების ტაძარში, უმაღლეს სასწავლებლებში გამაგრება-გამეფება მოიწადინა, რადგან აშკარა იყო, რომ ამ ტაძარში უმთავრესად იბუჩქნებოდა და ირაზმებოდა სარწმუნოების მოსისხლე მტერი; ეს ის მტერი იყო და არის, რომელიც უქადის მას მოსპობას და გაქარწყლებას. უეჭველად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ამ მეცნიერების ტაძრის, ან მოსპობა, ან და დამორჩილება. პირველი იერიში ავსტრო-უნგრეთის სამღვდელოებამ მიიტანა უმაღლეს სასწავლებლებზე, მაგრამ დამარცხდა და მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე იწყო ლაპარაკი. აი, საქმე როგორ იყო.

გასულ წელს ზამთარში ავსტრიის კლერიკალთა მეოცე პარტიული სიეზდი მოხდა. კლერიკალ-სამღვდელოების გარდა სიეზდზე დაესწრენ აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალების (christlich-sociale—ეგრე უწოდებენ ისინი თავის-თავს) პარტიის წარმომადგენლები. თუმცა ორივე პარტია წინადაც ერთად მოქმედებდენ, მაგრამ ეხლა ფორმალურადაც შეკავშირდენ და ერთმანეთს ფიცი მისცეს, რომ ქრისტიანულ ძმობა-სიყვარულის გავრცელებას მასსაში ორივე მხარე შეუდრეკელად, შეერთებულად ეცდება. ნიშნათ შეერთებისა სიეზდის თავმჯდომარეთ, თუმცა წმინდა კლერიკალურ პარტიის წარმომადგენელთა რიცხვი საგრძნობელად აჭარბებდა, ერთხმად ამორჩეულ იქნა ვენის ქალაქის თავი, ქრისტიანულ-სოციალურ კლერიკალ კარლ ლეეგერი. კრებამ ბევრი რეზელიუციები შეიმუშავა აქ, მაგრამ ჩვენთვის საგულისხმოა მხოლოთ ერთი, რომელიც ნათლად ღაღადებს, თუ რის განხორციელება განიზრახა სამღვდელოებამ. ეს რეზოლიუცია კრების დიდ სიხარულს და აღტაცებას ხატავდა შესახებ დაბალი და საშუალო სკოლებში გაბატონებისა და უმახლობელეს მიზნად მაღალ სასწავლებელთა მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას ისახავდა, როგორც აუცილებელ საჭიროებას სარწმუნოების იდეის გამაგრებისათვის. ამის გამო ერთმა ინსბრუკის (ავსტრიაშია) უნივერსიტეტის პროფესორმა, გვარად ვარმუნდმა, გამოსცა პატარა წიგნაკი, სადაც ის გვაცნობს სარწმუნოების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, მოგვითხრობს სარწმუნოების სისუსტეს და სიკოტრეს მეცნიერულ კრიტიკის წინაშე, აღნიშნავს, რომ მან საზოგადოების განვითარება და ადამიანთა აზროვნება დააჩლუნგა და შეაფერხა და სხვა-და-სხვა... ბოლოს ის დასკვნის, რომ ღმერთმა კი არ გააჩინა ადამიანი, არამედ, უკუღმა, ადამიანმა გააჩინა ღმერთიო. ამ წიგნაკმა დიდი აურ-

ზაური და ალიაქოთი ასტეხა კლერიკალთა ბანაკში. ისინი ბრაზით აივსენ, ერთსულოვანად ამხედრდენ, დაიწყეს განგაში, როგორ თუ ადამიანმა ღმერთი გააჩინაო... ეს შეუწყნარებელია, ეს შელახვაა და დამცირება სარწმუნოების, ვარმუნდი ერეტიკოსია, (მწვალებელია) ის სახელმწიფოს ღალატობს, და აბა რა მაგის საქმეა ლექციების კითხვაო, გაიძახოდენ სარწმუნოების დამცველები. ამ ყიჟინას მთავრობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ყურადღება მიაქცია; მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა სამღვდელოებას თავისი გულ-წრფელობა და ვარმუნდს ლექციის კითხვის ნება აღუკრძალა, მხოლოდ უმატებდა, მას ზამთარში ისევ დაუბრუნდება უფლებაო. გაამართლებდა თუ არა მთავრობა თავის დაპირებას—ეს უნდა საეჭვო საქმედ მიღებულიყო; მასთან უნდა ისიც მიღებულიყო მხედველობაში, რომ რაკი ამგვარი პირველი გამოლაშქრება მათი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, მაშინ ამას მეორე და მესამეც თან მიყვებოდა, რომელიც ორიოდე სხვა თავისუფალ მოაზრე პირთ იმსხვერპლიდა, და ასე შეუჩერებლივ კლერიკალები წინ გასწევდენ, სანამ მაღალ-სასწავლებელთა სრული მფლობელები არ გახდებოდენ. მაგრამ რასაც სამღვდელოება მოელოდა, არ გამართლდა. პროგრესიულ სტუდენტობამ და პროფესორებმა დროზე შეიგნეს თუ რა განსაცდელი მოელოდა ურიველსიტეტის და მეცნიერების თავისუფლებას, და შავების ზედ მოსევა სახელოვანად მოიგერიეს. მთელ ავსტრიაში სტუდენტობისაგან საყოველთაო გენერალური გაფიცვა იქნა გამოცხადებული; ერთბაშათ შეწყდა მეცადინეობა ყველა ავსტრიის მაღალ სასწავლებლებში; აქამდე მშვიდი აკადემიური ცხოვრება შეიცვალა ურიცხვი კრებებით და დემონსტრაციებით. მთავრობამ დაინახა რა ამგვარი დარაზმვა და გაბედული წინააღმდეგობის გაწევა სტუდენტობისაგან, გადასწყვიტა მოლაპარაკება გაემართა მოწინააღმდეგეებთან, რათა ამ არა სასიამოვნო შემთხვევას ბოლო მოღებოდა. მან მოიწვია რექტორთა კომფერენცია, სადაც განაცხადა თავისი ერთგულობა და სიყვარული მეცნიერების თავისუფლებისადმი, და ითხოვდა, გაფიცვა მოეხსნათ; მასთან პირდებოდა პრ. ვარმუნდს რომ მას საზამთრო სემესტრში დაუბრუნდება ლექციის კითხვის უფლება, მხოლოთ არა ინსბრუკში, არამედ სადმე სხვა ქალაქშიო. განათლების სამინისტროს ამგვარმა წინადადებამ აქამდე ერთად მიმავალი რექტორები და პროფესორები ორ ბანაკათ გაჰყო. უმცირესობა არ დაკმაყოფილდა მინისტრის განცხადებით და სამსახურს თავი დაანება, უმრავლესობამ კი სრული თანხმობა გამოაცხადა და შესაფარისი განცხადებები გამოაკრა სასწავლებლებში. ისინი თხოვნით მიმართავდენ სტუდენტობას, რომ გაფიცვა გაეთავებიათ და სწავლას შედგომოდენ, რადგან ბრძოლიდან გამარჯვებული მხოლოდ ჩვენ გამოვედითო. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივ ს-დ. მუშათა პარტიამ შესაფერისი პოზიცია დაიკავა ამ ბრძოლაში. თუმცა ის ინიციატორათ არ გამოსულა, მაგრამ ის იმ თავითვე მებრძოლ რაზმს გვერდში ამოუდგა და ბოლოს წინამძღოლობაც იკისრა. ს-დემოკრატიის წარმომადგენლები არც ერთ სტუდენტების კრებას არ აკლდებოდენ, უხსნიდენ დამსწრე საზოგადოებას, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება, ურჩევდენ მას გაფიცვის განგრძობას და თავის მხრივ დახმარებას პირდებოდენ. ამ გარემოებამ უეჭველათ დიდი გავლენა იქონია სტუდენტობაზე. მიტოვებული პროფესორებისაგან მინისტრის განმარტების შემდეგ, სტუდენტობა მაინც არ გრძნობს ბრძოლის ველზე თავს მარტოთ, მას ესმის, რომ მუშათა პარტია დიდ ძალას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში, და ამგვარი ამხანაგის ყოლა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა—ცოდვათ და შეუწყნარებლათ მიაჩნდა. მიუხედავათ რექტორთა განცხადებისა, რომ სწავლა 22 ივანობისთვეს დაიწყებაო, სტუდენტობა ოცს ახდენს საზოგადო კრებას და ერთხელ კიდევ ადგენს, გაფიცვა გაგრძელებულ იქმნას, რადგან ლიტონი სიტყვა მინისტრისა ვერ ჩაითვლება გამარჯვებათ. მთავრობა ერთ ნაბიჯს კიდევ სდგამს დათმობისაკენ, უშვებს ცირკულიარს, რომელსაც ხელს აწერს თვით იმპერატორი, რითაც განკარგულებას იძლევა, პროფესორი ვარმუნდი პრაგაში გადაყვანილიაო, მხოლოდ, რადგან საზაფხულო სემესტრი თითქმის შეწყვეტამდე არის მისული, ზამთარში შეუძლია მას ლექციის კითხვის დაწყებაო. ამ ცირკულიარმა ძლიერ გააოცა მებრძოლი სტუდენტობა. ეხლა აშკარა იყო, რომ მთავრობა იარაღს ყრიდა ბრძოლის ველზე და თავისი თავის დამარცხებას აღიარებდა. გაგზავნეს შეკითხვა ვარმუნდთან, რომელმაც შემოთვალა, რომ ის თავის ნებით იქნა გადაყვანილი პრაგის უნივერსიტეტში და სიამოვნებით მიდის იქ; მასთან რჩევას აძლევდა სტუდენტობას დროებით გაფიცვის შეჩერება—სასარგებლოა, რადგან, საჭიროა მოცდა ზამთრამდე და გაგება, რამდენად გამარჯვდება მთავრობის ასეთი დაპირებაო. ამით გაფიცვა შეჩერებული იქნა და ხელ-მეორეთ შეტაკების დროთ ზამთარი იქნა გამოცხადებული.

მ. მგალობლიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ალაზნის ველი.

—

მზე დასავლეთით ეშურებოდა,
სხივი მაღალ მთებს ეთხოვებოდა;
ნელად ჰბერავდა გრილი ნიავი...
სდუმდა ალაზნის ტალღა მგრგვინავი!
ტყე შებურვილი მწვანე ფოთლებით
ხან-გამოშვებით შეირხეოდა
და შავს ჩრდილოსა, ზოლად გაწოლილს,
კამკამა წყალში ათამაშებდა!
საღამოს სიო ხეხილთა ძირში

მინდვრის ყვავილებს თავს ევლებოდა;
ფოთოლი—ფოთოლს, ბალახი—ყვავალს
და მთის მწვერვალი ზეცას შესტრფოდა!..

* * *

—ალაზნის ველო! შენი კალთები
ძველებურადა ჰყვავის, იშლება;
და ტანჯულ ერსა იმედს უღვიძებს,
რომ დაცემული კვლავ ამაღლდება!
ვინა გიხილოს, რომ თრფობით გული
სამშობლოსადმი არა აღეგზნოს?!

დამარცხებული.

და შემდეგ იგი თავ-გამოდებით
მჩაგვრელ ძალებსა არა ეკვეთოს?
ჰე, ალაზანო, ნელად მჩქეფარევ,
მდულარე ცრემლო ჩვენ წინაპართა!
ერთ დროს ამ ნაპირს გმირთა მარჯვენამ
თავისუფლების დროშა აღმართა!..
მაგრამ ის დროშა მტერმა წარგვტაცა,
მოგვისპო ლხენა, შეგვხუთა სული;
და დღეს თვის ცრემლსაც შენ ერთს გიერთებს
ერი ქართველი გაწამებული!..

ჰხედავ, ამ ქვეყნის წყნარი მიდამო
შავს ნისლს რა რიგათ ჩამოუბურავს?
თავისუფლების მოყვარულ შვილთა
დღეს მძიმე ხუნდი სულსა უხუთავს!..
დღეს მათ გულ-ღვიძლსა ყორანი სჯიჯგნის
და გზა-კვალს უბნევს მუხთალი ბედი!..

ს. ლანდი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსული სკოლა. გაზ. „Спб. Вѣд".-ში ცნობილი მოლიბერალე ბ-ნი როსლავლევი ეხება სკოლის საკითხს და სხვათა შორის სწერს:

„მე ვამტკიცებ, რომ რუსულ ცხოვრების „პოდლეცებსა" და „მერზავცებს" (არამზადებს) უწინარეს ყოვლისა ჰქმნის რუსული სკოლა, სადაც დამყარებულია ბაზაზხანური (საკომერციო ბირჟების) საზომი ბავშვების სულიერ თვისებათა დასაფასებლათ. მთელ ამ ბირჟების წუმპეს, „მაშენიკობასა" და გახრწნილებას სარკესავით გამოხატავს რუსული სკოლა".

და თუ აგეთია რუსული სკოლა თვით რუსებისათვის, საკითხავია, რადა უნდა იყოს იგი ჩვენთვის, ქართველებისათვის, სომხებისათვის და სხვა დაჩაგრულ ერთათვის, როცა აქ რუსულ სკოლას ზედმეტათ ჩაბარებული აქვს ერთვნულ გადაგვარების მისია (დანიშნულება)!!.

* * *

სიკვდილით დასჯის შესახებ. სიკვდილით დასჯა მაინც კიდევ იბურობს საზოგადოებისა და ბრესის ყურადღებას... ამას წინათ გვეუწყა სენსაციონური ამბავი, რომ კიევში ჯალათი თავის ხელობის გამო ჭკუაზე შეშალა. ამის გამო გაზ. „Рѣчь"-ი სწერს:

„ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კიევში, სრულებითაც არ არის შემთხვევითი და განსაკუთრებითი. დეე კიევის შემთხვევამ მრისხანეთ მოგვაგონოს, რომ ადამიანის ნერვების დაჭიმვასაც საზღვარი აქვს, და თუ ჯალათშიც ალაპარაკდა ადამიანის ბუნება, ცხადია—ყოველგვარი საზღვარი უკვე გადალახულა, ცხადია დრო არის შეჩერებისა. ამას ცხადათ მოწმობს ეს შემთხვევაც, თუნდ ცნობიერებიდან სრულიად ამოვიფხიკოთ ის, რაც თქმულა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, თუნდაც თვალები მაგრათ დავხუჭოთ მოდაღადე იმ შედეგებზე, რაიც მოგვიტანა უკანასკნელ ორიწლის ცდამ, ასეთის გრანდიოზულ მასშტაბით გაკეთებულმა ცდამ.

შეიძლება ითქვას—რაც უნდა უცნაურათ გვეჩვენოს ამის თქმა,-რომ დასახელებულ შედეგთა შორის კიევის ჯალათი, რომელიც ჭკუაზე შესცდა თავისი თანამდებობის შესრულების გამო, ერთათ ერთი მკრთალი სხივია ჩვენს ჩამობნელებულ და სისხლით შეღებილ ჰორიზონტზე"..

ჩვენ კი რუსეთის შესახებ ვიტუვით: le doux pans. („ტკბილი ქვეყანა;)".

საფრანგეთის რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯა ფაქტიურათ კარგა ხანია გაუქმებულია. იურიდიულათ კი ეს ადგბათ ამ მოკლე ხანში მოხდება. იქ ელიან, რომ ამ დღეებში სენატი (ზედა-პალატა) ასეთ კანონს დაადასტურებს. ამის გამო იქაური ბრესა იგონებს, რასაც გასულ საუკუნის 30-იან წლებში სწერდა ვიქტორ ჰიუგო:

„ბარბაროსებო! არ შეიძლება მოკვლა არავისი. არ შეიძლება მოვჰკლათ ისინი, ვინც კლავენ. არ შეიძლება მოჰკლათ ჯალათიც. მოსაკლავია კანონები, რომელნიც აკანონებენ მკვლელობას. დროა ჯალათებს მოვუსპოთ სამუშაო. წესწყობილება არ დაირღვევა ჯალათის წასვლით.. მომავალში ავაზაკობა—დანაშაული ჩაითვლება ავათმყოფობათ და ამ ავათმყოფობისათვის იქნებიან განსაკუთრებული ექიმები, რომელნიც ჩვენი დროის მსაჯულების ადგილს დაიპერენ, და იქნება განსაკუთრებული საავათმყოფონი ნაცვლათ დღევანდელ ციხე-კატორღისა, მაშინ თავისუფლება იქმნება ღვიძლი და სულისა და სხეულის ჯანმრთელობისა.“ (Rine qe Paris)

* *
*

შაჰის პროკლამაცია. გაზ. s Hnmanite-ში (№ 1531) მოუვანილია რესკრიპტი (ერთგვარი პროკლამაცია), რომლითაც შაჰი უკანასკნელ ამბების გამო მიმართავს ხალხს. მოჰყამედ-ალი, რომელმაც ფეხით გასთელა კონსტიტუცია და ამას წინათ ზარბაზნებიც დააშენინა მეჯლისისათვის (პარლამენტისათვის), დაატუსაღა ხალხის წარმომადგენელნი, რამოდენიმე ხალხისათვის თავდადებული დაადრჩობინა და ხალხის სისხლით შედება თვისი საბრძანებელ ქალაქის ქუჩები. აი ეს მოჰამედ-ალი, შაჰი სპარსეთისა ასე მიმართავს სპარსეთის ხალხს:

„კეთილშობილი სპარსეთის ერი, რომლის წევრებსაც მე ისე ვუყურებ, როგორც ჩემს საკუთარ შვილებს, არ მოისურვებს, რომ ამ ქვეყანას, სამოცი საუკუნის ისტორიის მექონე ქვეყანას, კიდევ მეტ ხანს არყევდეს ერთი მუჭა შეთქმულნი, რომელნიც ოცნებობენ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, რათა ხალხს აუბნიონ გზა-კვალი, აშორონ თავის ნამდვილ ინტერესებს და ამ რიგათ შეარყიონ ის საფუძველი, რაზედაც დაყრდნობილია ჩვენი ცივილიზაცია. მე ვუცხადებ ქვეყანას, რომელიც ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც ჩემი საკუთარი ოჯახი, ვუცხადებ, რომ უკეთუ მთავრობა სასტიკათ არ გაუმკლავდება ზედმოსევას, რაიც მას ემუქრება, მაშინ სახელმწიფო და ნაცია დაიღუპებოდა; და ამ რიგათ ევნებოდა კონსტიტუციას, რომლის განვითარებას მე ხელი შევუწყე.... სპარსეთი ამიერიდან კონსტიტუციონურა ქვეყანაა, როგორც მე უკვე უმაღლესათ განვაცხადე რამდენჯერმე და როგორც ვაუწყე მთელ ქვეყნიერობის ყველა ნაციებს“...

* *
*

ევროპის აზრი სპარსეთის უკანასკნელ ამბებზე. ინგლის გაზ. „Stendab“-ი კითხულობს თუ სად იშოვა შაჰმა ფულები, რომ ასე გაბედულათ არდვევს კონსტიტუციასო.

კონსერვატიული „jimes“ ი“ სწერს:

„ამ ჟამათ, ეტყობა, შაჰმა ტერორის საშუალებით გაიმარჯვა; საკითხავია მხოლოთ, თუ რამდენი ხნით შესძლო მან თავისი ხალხის ნორჩ თავისუფლებათა ჩაღრჩობა. იმის, დიახაც აღმოსავლეთურ, მეთოდის პირდაპირ გამარჯვებამ თვალები არ უნდა დაბეგიბრმავოს: მდგომარეობა მეტის-მეტი დამაფიქრებელია.

ასეთ კრიტიკულ დროს, სანუგეშოა, რომ რუსეთი და დიდი ბრიტანია ორივე თანახმანი არიან ნეტრალობის პრინციპის (სპარსეთის შინაურ საქმეებში არ ჩარევის).“

გაზ. „s Humanite“-ში—26 ივნისის რიცხვით-ეკითხულობთ:

„მართლაც ეჭვი არ არის, ინგლის—რუსეთის შეთანხმება რომ არ მომხდარიყო, პეტერბურგიდან რომ არ დაერწმუნებინათ—ინგლისის მთავრობა თითსაც არ გაანძრევსო, მოჰამედ—ალი ვარასოდეს ვერ გაბედავდა იმ საშინელ საზიზღრობას, რომელიც მან ჩაიდინა.“

პროვინცია.

ახალციხე. ჩვენ ქალაქსაც ჩვენებურობის სიცოცხლის დაღი აჩნევია, რითაც გარეშენი ადვილათ მიხვდებიან ჩვენ ფსიხოლოგიას. ჩვენც ჩვენებურათ ვცხოვრობთ, ჩვენებურათ ვმოქმედობთ ყოველნაირ მოძრაობაში, გართულობაში და სხ. აი მაგ. ქართველი კათოლიკენი ნამესტნიკს აძლევენ თხოვნას, რომ საბოლოოთ ჩამოშორდენ სომხის ტიბიკონსა, მაგრამ მღვდლები ღალატობენ და არ უწერენ ხელს ასეთ ქალალდზე, რადგანაც სომეხთ ტიბიკონის კათოლიკეთა მმართველი ტერ აბრამიანი თითს უქნევს ყველა მღვდლებს: „არ გაბედოთო“. იმავე დროს კი მრევლნი თითს უქნევენ: „მოგვიწერეთ ხელი, თვარა როდესაც სომხებს ჩამოგვაშორებენ, მაშინ თქვენ აღარ მიგიღებთ და სხვა მღვდლებს მოვიყვანთ (პატრებსო).“

არ იციან მხდალმა და თავიანთ ჯიბის დამცველ მოინტერესე მღვდლებმა, ვის გაუგონონ—სომეხ უფროსს თუ მრევლს და ასე ვერც ერთ გადაწყვეტილებაზე ვერ მყარდებიან.

ამ ჟამად არსდება აქ სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო ეკონომიური ამხანაგობა, წოდებით „მესხეთი“ (პაიებით), რომელსაც მიზნათ ექნება: 1) ადგილობრივ ნაწარმოებს, ხილს, თამბაქოს და მისთანობას მოუპოვოს გარეთ გატანილს რიგიანი ბაზარი. 2) გახსნას მიწის სამუშაო იარაღის საწყობები, სანოვაგის მაღაზიები და სხვ. რასაც პირიანათ მიაწვდის ხალხს.

ამის თაობაზე მაზრის უფროსის თანა-დასწრებით უკვე მოხდა პირველი კრება, სადაც გადაწყდა ამ საკითხის ასრულება, კრებამ ერთხმივ მოიწონა ეს საკითხი და აირჩია წესდების შესადგენათ კომისია: ლ. ს. ფირალიშვილი, დაფქვიაშვილი, კ. ი. გვარამაძე, ორლოვსკი, ორბელიანი და სხ. იმედია სასურველათ წაიყვანებენ ჩვენი მოწინავე პირნი ასეთ სასარგებლო საქმეს.

აპრაჭიჭა.

ქ. თელავი. რასაკვირველია მკითხველებს არ გაუკვირდებათ თელავის ახალი ამბები. თითქმის იგრე დღე არ გაივლის, რომ არავინ არ მოკლან და არ გაძარცვონ; ამ ძარცვა-გლეჯას კი პარტიებს აბრალებენ. საკვირველია, რომ პარტიების წინამძღოლნი ყურადღებას არ აქცევენ და პრესის საშუალებით არ ალაგმავენ ჭორიკანა ცრუ-ბატონებს, რომელთაც ხელობათ გაუხდიათ თავიანთ ბინძური „მიზეზებისათვის“ პარტიების ჩირქის მოცხება და ხალხის თვალში მათი დამცირება.

აქაურ ქალების სახელოსნო სკოლაში თითქმის ორმოცზე მეტი ქალი სწავლობს, და ორი პატარა ოთახი არ არის საკმარისი, რომ მათ თავისუფლათ იმუშაონ, ნახევარზე მეტს ფეხზე დგომა უხდებათ, ელოდებიან ერთმანეთს წამოდგება ვინმე ადგილიდანაო და მე დავიჭერ მის ადგილსო. ქალებს ეს არ მოსწონთ უფრო იმიტომ, რომ თვითონ იხდიან ორ თუმანს და მასწავლებელის აღებულ საქმესაც თვითონ აკეთებენ. აი ამ მომუშავე ქალებს უნდოდათ აეღოთ ხელი სამუშაოზე და

მოთხოვნლებანი წარედგინათ, მაგრამ იმ პირმა, ვინც საქმის მეთაურობა იკისრა, მისივე დაწყებულ საქმეს ულალატა და ჩაშალა, რისთვისაც მან საშინელი ზიზღი დაიმსახურა მუშა ქალებიდან.

ელექტრონი.

ზემო იმერეთი (შორაპნის მაზრა). უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწევაო, ნათქვამია, და სწორეთ ეს ანდაზა ზედ-გამოჭრილია აქაურ მცხოვრებლებზე. რეაქციისაგან მიწასთან გასწორებული მცხოვრებნი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ უფრო უარესი და უსასტიკესი მკაცრი განსაცდელი მიადგათ კარს—შიმშილი. და ლამის მრავალ ტანჯული სული ამოხადოს.

ერთად-ერთ წყაროს აქაურ მცხოვრებთა არსებობისას შეადგენს ღვინის მოსავალი და შავი ქვის მუშაობა. გაყიდული ღვინის ფულით ყიდულობენ სიმინდსა და სხვა აუცილებელ საჭიროებას იკმაყოფილებენ; ხოლო ვისაც ღვინო არ მოსდის, ის მიეშურება შავი-ქვის მაღაროებისაკენ, რომ იქ აღებული ორიოდე გროშით გამოკვებოს ცოლ-შვილი და დააკმაყოფილოს ყოველივე ადმინისტრაციის ფინანსიური მოთხოვნილებანი.

წელს აქაურ მცხოვრებთ ბედმა არც ერთში და არც მეორეში არ გაუღიმა. ღვინის ფასი მეტის-მეტათ დაეცა. წინეთ თუ საპალნე (10—11 ჩაფი) იყიდებოდა საშუალო ფასში 30-40 მან. დღეს 10—12-მდე მან. ფასობს. ეს ფასი არ ადგენს იმ სასყიდელს, რომელიც დახარჯულია ღვინის მოყვანაზე. დიდი უმრავლესობა იძულებულია გაჰყიდოს (ან როგორც ისინი ეძახიან) გადაღვა როს, თუ კი მუშტარი შეხვდა, მაგრამ ეს უკანასკნელებიც არსად სჩანან.

შავი-ქვის მრეწველობა შეჩერებულია ჩვენი „კულტუროსან“ მრეწველების წყალობით. შარშანდელმა შავი ქვის „პოდრიადჩიკუშკემა“, რომელთაც ძალზე ჰქონდათ გახსნილი ფულების შეძენის მადა, არამც-თუ მარგანეცი ჩამოჰქონდათ პლატფორმებზე, არამედ შავი მიწა, რომელსაც გზებზე ხვეტდენ და როცა მსხვილმა კაპიტალისტებმა არ მიიღეს, „პოდრიადჩიკუშკებმა“ მუქარას მიმართეს, რის გამო არა ერთი და ორი მსხვილი მრეწველი გაშორდა აქაურ მრეწველობას და ბრაზილიას მიმართა.

ყველაფერი იცვალა, ხოლო არ შეიცვალა თვით დამღუპველი ზნე-ჩვეულება,-დღესასწაულების გადახდა, ქორწინება მრავალ რიცხოვანი წვეულებით და ტირილი თუ მეორმოცე დღის გადახდა. ეს უკანასკნელი, ესე იგი მიცვალებულის გასვენებაზე ურიცხვი ხალხის მოპატიჟება და ქელეხი, ისეა გავრცელებული, რომ საძრახისათ მიაჩნია, რაც უნდა ღარიბი იყვეს თუ ორასზე ნაკლები მოიპატიჟა. საშვალო რიცხვით-კი ერთი მეორეზე იპატიჟება ოთხასი ოჯახი და თითეულ ოჯახიდან შეიძლება რამოდენიმე პირი დაესწროს. „გადასახურავი“, რომელიც მიაქვთ, საშვალო რიცხვით 35 კაპ. უდრის, რაც შეადგენს 200 კაც. 35 მან. 400—70 მან. ხარჯი საჭიროა, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ 200 კ-ზე 120 მ. 400 კ-240 მ. ერთმანეთის მიხედვით საძრახისათ მიაჩნიათ თუ ასე არ მოიქმედეს და როცა დავეკითხე, რათ შვრებით ასე, განა არ შეგიძლიათ მოიპატიჟოთ მახლობელი ნათესავ-მოყვარენი და კარის მეზობლები, რომელნიც გიშველიან მიცვალებულის გამოსვენებაზე—რავქნათ, ყველანი ასე შვრებიან და ჩვენ როგორ გამოვწყდებით ხალხშიო—მიპასუხეს.

დროა გონს მოვიდენ ჩვენი მოძმენი და ჩაუფიქრდენ თუ რას ჩადიან და ეს დამღუპველი და ოჯახის გამაქარწყლებელი ჩვეულება უკუაგდონ.

სო—ნ.

მასწავლებელი.

(მოთხრობა,*)

II

ნიკო რთველიაშვილი ქართლის სოფელ ღვედრეთელი იყო; ღვედრეთი მთის ძირში ხევის პირათ მდებარეობდა, რომელსაც გვერდით პატარა მდინარე ჩამოუბრბოდა; სოფელი მთის კალთაზე შეფენილიყო. ქვევით, ვენახების იქით ტრიალი მინდორი მოსჩანდა; ზევიდან სოფელს ხშირი ტყით შემოსილი მთა მედიდურათ ჩამოსცქეროდა.

ღვედრეთი, როგორც საერთოდ ქართლის სოფლები, ბუნებით მდიდარი და შემკული იყო, მაგრამ თვითონ სოფელი უსწორ-მასწოროთ, ერთი- მეორეზე უშნოთ მიყრილი, ღარიბ ქოხ-მახების და საბძელ-საჩაალეების კრებულს წარმოადგენდა. მისი მნახველი პირველათვე შენიშნავდა მიწურ ბოსლების ბოლოებზე დაგროვებულ ნეხვებს, ოღრო-ჩოღრო გზებს, სიბინძურეს და სიმყრალეს. წვიმის დროს სოფელი ტალახით და წუმპეებით ივსებოდა, სადაც პაჭიჭებ გამოწყობილი ღვედრეთელები, მზეზე გარუჯულ ფეხ-შიშველა მუხლებამდის დასტოპავდენ.

ნიკო დედ-მამის ერთად-ერთი იმედი და ნუგეში იყო, მისი მამა გლახუა საშუალო შეძლების გლეხი იყო. გლახუა სოფელში ჭკვიან, დარბაისელ და პატიოსან კაცად იყო ცნობილი. ის მხნე, გამრჯელი და დაუზარელი კაცი იყო; დილიდგან საღამომდის ის წელებზე ფეხს იდგავდა, სისხლის ოფლს იწურავდა, რომ ოჯახი როგორმე იოლათ წაელო. დუხჭირი სოფლის ცხოვრება მას გაჭირვების ქუჩაში აწრთობდა და სწვრთნიდა.

ჭირში და ლხინში გლახუას გვერდში უდგა და მასთან ერთად მძიმე უღელს ეწეოდა მისი ცოლი თებრო, რომელიც მუდამ თითისტარივით ტრიალებდა და ოჯახს ჯეროვანათ უძღვებოდა.

დედ-მამამ მთელი თავის მშობლიური სიყვარული ნიკოზე დაამყარეს. ნიკო დედ-მამის მზრუნველ კალთის ქვეშ შეღავათიანათ და თამამათ იზრდებოდა; ცხოვრების სუსხიანი ქარი, რომელიც ათასობით სუსხავს და უდროოდ აჭკნობს ნორჩ ყვავილებს, თბილ და ტკბილ,

*) იხ. ჩვენი კვალი № 3.

მშობლიურ კერასთან მას ვერაფერს აკლებდა. მაგრამ პატარაობაშივე მას დედის ნანასთან ერთად ყურში გლეხის მწარე მოთქმა და გოდება მაინც ეწვეთებოდა.

ნიკო რვა წლისა იქნებოდა, როცა ის სოფლის სკოლაში მიაბარეს; მის ბუნებრივ ცოცხალს ნიჭს და მახვილ ჭკუა გონებას მასწავლებელი აღტაცებაში მოჰყავდა. გლახუა სიხარულით უსმენდა და თან ტკბილი ღიმილით შესცქეროდა ნიკოს, რომელიც დედა-ენიდან ლექსებს სხაპა-სხუპით ამბობდა. გლახუა თავის მხრივ მას ბევრ სხვა ლექსებს ასწავლიდა და სხვა და სხვა ამბებს მოუთხრობდა.

ნიკო სოფლის ცხოვრებასაც ეცნობოდა; ის აღტაცებით გაყვებოდა ხოლმე მამას სამუშაოთ ვენახში, მინდორში, ტყეში; მას უყვარდა მამის გვერდზე მუშაობა და მასთან ტკბილი მამა-შვილური მუსაიფი. ნიკო თვალებ-გაფაციცებული და ყურებ-დაცქვეტილი უსმენდა თავზე ხელცახოც წაკრულ, გაოფლიანებულ მამას, რომლის ლაპარაკში სხვა და სხვა მხრივ ნათლად იხატებოდა გლეხის ცხოვრება, მისი ჭირი და ლხინი.

ნიკომ სოფლის სკოლა ჩინებულათ დაამთავრა; მასწავლებელს ნიკო უყვარდა, როგორც საუკეთესო შეგირდი; მისი რჩევით და მეცადინეობით, რომელსაც გლახუაც დიდ პატივსა სცემდა, მახლობელ სამაზრო ქალაქის საოსტატო სემენარიაში მიაბარეს.

ნიკო შეჩვეულ სოფლის ცხოვრებას მოსწყდა და ქალაქში სულ სხვა პირობებში მოექცა. ასეთმა გარემოებამ ის, ცოტა არ იყოს, დააღონა და დაანაღვლიანა, მაგრამ მას სწავლის დიდი წყურვილი ჰქონდა, ნიკო სწავლაში დიდ ნეტარებასა გრძნობდა; ის თავის მკვირცხლი ჭკუის თვალით დიდებულ სინათლეს ხედავდა, რომელიც უფრო და უფრო სპეტაკდებოდა და ნიკოს მთელ თავის არსებით იზიდავდა. ის ამ სინათლისაკენ მხნედ და ენერგიულად მიიწევდა და არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა. ის მზათ იყო ყველაფერი დაეთმო, ყველაფერი აეტანა, ოღონდაც ესწავლა.

მისი ერთხელვე გამოღვიძებული და ამოძრავებული ნიჭი მარტო იმ საგნებითაც არ კმაყოფილდებოდა, რომლებსაც გაჩინოვნიკებული მასწავლებლები ცოტა არ იყოს უხალისოდ და მშრალად ასწავლიდენ. ის მოითხოვდა ნამდვილ ცოდნას, ცოცხალ სწავლას და ამისათვის ეწაფებოდა ისეთ წიგნებს, სადაც ბუნება და ცხოვრება თავის ნამდვილ სახით უფრო ნათლად და მკაფიოთ იხატებოდა.

ასეთმა წიგნებმა ნიკო ღრმათ ჩაახედეს ცხოვრების გულში, მის მოწყობილობა-მოწეს-რიგებაში და გარკვევით დაანახვეს ის უსამართლობა—უკუღმართობა, რაზედაც აშენებულია ცხოვრების უზარმაზარი შენობა. ნიკომ სხვა დაახლოვებულ ამხანაგებთან ერთად გამოიმუშავა ერთი გარკვეული მსოფლიო-მხედველობა და აქედგან წარმოშობილი დიდებული იდეალი, რომლის განხორციელების დაჩქარება, ხელის-შეწყობა და მისსთვის მოქმედება თავის სიცოცხლის მიზნათ დაისახა.

გლახუა ბედნიერი მამა იყო; ის თავის მომავალს გაბედულათ შესცქეროდა და წელში გაშლილი თავ-აწეული დადიოდა. მართალია შვილის გამოზდაზე დიდი ხარჯები მოუვიდა და კიდევაც დავალიანდა, მაგრამ სამაგიეროთ სოფლის საქებური, ნასწავლი შვილი ეზრდებოდა, რომელიც დანაკლისს ერთი-ათად აუნაზღაურებდა. ახალგაზდური იმედებით აღსავსე, ის ტკბილათ უღიმოდა მომავალს, მაგრამ უსამართლო, ბრმა ბედისწერამ მას არ აცალა.

სამი თვე უკლდა ნიკოს სასწავლებელის დასრულებამდე, რომ გლახუა მოულოდნელათ მოსწყდა წუთისოფელს, ის ტყეში გაცივდა და ჩავარდა ლოგინათ, საიდანაც აღარ ამდგარა.

საყვარელ და მოჭირნახულე მამის სიკვდილმა ნიკოს ნორჩი გული უცბათ დასწყვიტა; პირველი ჭირილობა მას ამ თავ-ზარდამცემმა ამბავმა მიაყენა. ის დაობლდა; მას მოაკლდა საყვარელი მარჩენალი, რომელიც მას მუდამ თავს დასტრიალებდა და ბრმა ცხოვრების ყველანაირი განსაცდელისაგან იფარავდა. მის ფართე და ღია შუბლზე ამ უბედურებამ პირველი შავი ხაზი, სევდის პირველი ღარი გაავლო.

ნიკოს ბავშური აღფრთოვანება დაეკარგა; გაბრწყინვებული სახე დარდმა დაუჩრდილა; ის დადინჯდა, ხასიათი შეუმუშავდა, ყველანაირათ ჩამოყალიბდა; მას ულვაშებიც აუმწვანდა.

ნიკო ოცის წლისა იქნებოდა, როდესაც სასწავლებელი დაამთავრა; წიგნებით გატაცებული, გამოუცდელი და რამდენიმე წლით სოფლის ცხოვრების და მის ზნე-ჩვეულების მოწყვეტილი, ის თავის კერასვე დაუბრუნდა.

ნიკოს ყველაფერი ეუცხოვა; მან ჩქარა მწვავეთ იგრძნო ობლობა; სასტიკმა ცხოვრებამაც ის თავის მძიმე უღელში მაშინვე დაურიდებლათ შეაბა. მის წინ ყოველ წამს ყოველ დღიურ საჭირბოროტო კითხვები მოულოდნელათ დგებოდენ, რომლებიც დაუყონებლივ მოითხოვდენ გადაწყვეტას; ვალი, გადასახადები, ოჯახი, მტერი, მოყვარე, ყველა ესენი გაძღოლას, თაოსნობას და პასუხის გაცემას მოითხოვდენ.

ნიკოს ყველა ეს წვრილმანები ნემსებივით სჩხვლეტავდენ, ჩაქუჩივით სცემდენ, დაუყოვნებლივ ყელში უჭერდენ და დაკმაყოფილებას თხოულობდენ. ოცნებებით და იდეალებით გატაცებულს მას ყველა ეს უმნიშვნელო პრაკტიკული კითხვები და საქმეები-რომლებიც ავსებდენ მის ყოველ-დღიურ სოფლის ცხოვრებას—ნიკოს მთავარ გონებას უკარგავდენ და გულს უწყალებდენ. ის ვერ ეგუებოდა, ვერ უთანხმდებოდა ასეთ უშნაარსო ცხოვრებას და გამოუქნელი ბოჩოლასავით ცდილობდა ამ უღლის თავიდგან აცილებას; მაგრამ ამაოდ; სინამდვილეს თავისი გაჰქონდა.

ნიკო ადგილის შოვნას შეეცადა, მაგრამ მას ბედი არ უღიმოდა. ერთი წლის შემდეგ, როგორც იყო, გასჭრეს მისმა უკვეშევრდომილესმა თხოვნებმა. მას ერთ

სამაზრო ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში მისცეს ოცდა ხუთ მანეთიანი მასწავლებლის ადგილი.

ნიკო სიხარულით აღტაცებას მიეცა; ოცდა-ხუთი მანეთი ოცდა ხუთ თუმნათ მიაჩნდა და არც თუ თვე ეჩვენებოდა მას ისე ხანგრძლივ დროთ.

ის პირველათ სულით და გულით შეუდგა მასწავლებლობას; მას კარგათ ესმოდა ამ მოვალეობის დიადი მნიშვნელობა და ამიტომაც თავს არა ზოგავდა; ის გულმხურვალეთ ასწავლიდა ნორჩ, ახალ თაობას. მაგრამ ეს მხოლოთ პირველათ.

აღტაცების მოკლე ხანამ ჩქარა გაირა და უცხო ენაზე ლშინარსო და მშრალი სწავლებით დაღალულ-დაქანცულ ნიკოს თვალწინ აეყუდა სკოლის სასტიკი რეჟიმი მთელი თავის სიგძე-სიგანით, მის ყველა სიტყვას, ყველა ნაბიჯს გულ-ზვიადი, ამპარტავანი უფროსები სასტიკად ადევნებდენ თვალ-ყურს. მისგან მოითხოვდენ სრულ მონობა-მორჩილებას, ლაქუცობას, ბავშვების ტვინის დაჩლუნგებას და მათ დამახინჯებას; ოცდა ხუთი მანეთიც დაკოტავდა, სამაგიეროთ თვე გაჭიანურდა.

ნიკო დიდ ნაკლებულობას და გაჭირვებას ითმენდა; მის გარშემო ჰყვაოდნენ, ხარობდენ, მუჯლისობდენ; ის კი უმთავრეს მოთხოვნილებებსაც ვერ იკმაყოფილებდა, ბევრნაირათ იტანჯებოდა, იჩაგრებოდა და ცხოვრების ჭაპანს გაჭირვებით ეწეოდა.

ასეთი გარემოება, ულმობელი პირობები და აღგზნებული ახალ-გაზდობა მას ცხოვრების ორონტრიალში აქეთ-იქით უნუგეშოთ აწყვეტებდენ, თავის ყოველ დღიურ ტალღებში ითრევდენ და გარყვნილ-გათახსირებული და ტალახიანი ხვრელებისაკენ მიექანებოდენ.

(შემდეგი იქნება).

ს. პართენაშვილი.

ხმა სოფლის მასწავლებელისა.

ყველა იმ საჭირ-ბოროტო საკითხებთან, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ, მჭიდრო კავშირი აქვს სახალხო განათლების საკითხს. ამ საკითხმა ხალხის დიდი ყურადღება მიიქცია და მართლაც დღეს მიმეტებულ ნაწილს საზოგადოებისას, გარდა საქმეზე ბრმათ შემყურეებისა, ეჭვი აღარ ებადებათ იმაზე, რომ **განათლება** ეს ერთად-ერთი დაუთრგუნველი ძალაა, რომელიც ჰფანტავს სიბნელის ბურუსს და ანგრევს უვიცობის და შეუგნებლობის საზიზღრათ აგებულს კედლებს.

სახალხო განათლებამ, ე. ი. ხალხის ფართე მასის განვითარების გზაზე გამოყვანამ, ყველა დააინტერესა; ყველას აინტერესებს ხალხის საზოგადო განათლება, რის განხორციელებასაც ზოგიერთ ადგილას შეუდგნენ და ამ გზით ქალაქ ადგილებში იწყეს კულტურული მუშაობა, მოაწყეს იქ ხალხის განსათვითცნობიერებლათ სისტემატიური და დრო-გამოშვებითი ლექციები სხვა-და-სხვა მეცნიერებიდან, დაარსეს მსურველთათვის სისტემატიური საშუალო და უმაღლესი საღამოს კურსები, ისევე სხვა-დასხვა მეცნიერებიდან; დაარსეს აგრეთვე ქალაქ ადგილებში მოზრდილთათვის საღამოს სკოლები; ასე რომ ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლიან თავისუფლათ ვაღიაროთ, რომ ქალაქებში მოეწყო ცოტათ თუ ბევრათ კულტურული მუშაობა. მხოლოთ ამ გვარ მუშაობას მოკლებულნი არიან ეგრეთ წოდებულნი შეუგნებლობის და უვიცობის სამეფო—სოფლები. რას წარმოადგენენ ამ მხრივ დღეს სოფლები? ეს ამჟამათ საუკუნოებით გაციებულს კერას უფრო ემსგავსება, ვიდრე სხვა რამეს. აქ მთლათ შესწყდა, მოდუნდა მაჯის ცემა, რომელიც დიდებულ მომავლისათვის ჰკაფავდა ეკლიან გზას.

ჩვენ სოფლებში კულტურულ მუშაობას კი არა, იმის ჩანასახსაც, აჩრდილსაც ვერა ვხედამთ. აქ ცოტა-ოდენი შეგნება-შემეცნების გზაც კი ჩახერგილია. აიღეთ, ბატონებო, მაგალითისათვის თქვენს თვალ-წინ, ან სადაც შორს სოფლებში აშენებული თითო-ოროლა სკოლა, რომელიც აქნობამდის თუ არა, დღეის შემდეგ მაინც ხალხის სურვილების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, გაიცანით კარგათ არსებული სოფლის სკოლები და ნათლათ წარმოიდგენთ იმას, რომ დღევანდელ სოფლის სკოლებს ახალი სკოლების არაფერი შერჩა, სკოლების უფროსებმა ისევ თავიანთი პოლიტიკა გააბატონეს, სწავლება ისევ ძველი პროგრამებით დაიწყეს, და წარმოიდგინეთ ზოგიერთ ადგილებში რუსული ენის სწავლება მუნჯურ მეთოდზე შედგენილ სახელმძღვანელოებითაც კი გააჩაღეს... და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ სულითა და გულით ვნატრობთ ახალ სკოლას.

რამ შეუწყო ხელი სკოლების ასეთ უვარგისობას? უნდა ვაღიაროთ, რომ ამას გარდა იმ თვალსაჩინო მიზეზებისა, რაიც ყველას მოეხსენება, ხელი შეუწყეს თვით ჩვენმა სახალხო სკოლის მასწავლებლებმა; და ეს არც საკვირველია, რადგან ამათში მომეტებულ ნაწილათ ისეთები არიან, რომელნიც სრულებით მოწოდებულნი არ არიან მასწავლებლობაზე და რაღაც შემთხვევით კი მასწავლებლათ სოფლის სკოლაში ამოჰყვეს თავი; არიან ისეთები, რომელთაც ისე პედაგოგია და ხალხის სამსახური, ბავშვების სწავლება არ აინტერესებთ, როგორც დუქნებში ქეიფი და დროების ტარება;*) არიან ისეთები, რომლებიც მთელ წლობით ისე ატარებენ დროს, რომ ხალხს არც კი ეკარებიან და მათს ჭირსა და ვარამს არ იზიარებენ, არაფერს საქმეს არ უკეთებენ. არიან ისეთები, რომლებიც დირექტორ-ინსპექტორებს ქვეშ უგორდებიან, მათი სრული მონები არიან და მათ გულის მოსაგებათ—ოღონდ კი უფროსმა ის დააწინაუროს—ისინი სამარცხვინო როლსაც კისრულობენ.

*) ამ გვარ დროების ტარებას რომ ვერ სჯერდებიან მასწავლებლები, შეიკრიბებიან ხოლმე 5-6 კაცი ერთად რომელიმე სკოლაში და მის მაგივრათ, რომ სკოლის საქმეებზე იქონიონ მსჯელობა, ღვინის სმაში ატარებენ დროს.

აი, ბატონებო, რა გზას ადგიან მომეტებული ნაწილი სოფლის მასწავლებლებისა სწორეთ იმ დროს, როდესაც ახალი სკოლის განხორციელებისათვის ერთგულობა, მხნეობა და გამჭრიახობა მართებთ, ყველაზე მეტათ თვითონ მასწავლებლებთ.

დიახ, სკოლასთან ერთათ უნუგეშო სურათს წარმოადგენენ თვით ჩვენი მასწავლებლები.

რა უნდა გააკეთოს სოფლის მასწავლებელმა, რომელსაც თავის დანიშნულება სოფლათ არ ესმის, როცა იგი იდეიურათ არ არის გამსჭვალული ამ საქმით და მას არც სათანადო მომზადება შესწევს ხალხის სამსახურისათვის. სოფლის მასწავლებელი ყოველივე ამ გვარ უნარს მოკლებულია, ის ხალხს ტყუილათ ეყვედრინება*), ის ყველა სკოლებში დღევანდელს მომენტს კულტურულ მუშაობისათვის მოუმზადებელი აღმოჩდა და მასწავლებლის ის მძიმე როლი, რომელიც ხალხის წინაშე დიდათ პასუხისმგებლოა, მისთვის შეუფერებელი გამოდგა.

დიახ, სოფლის სკოლა და მასწავლებელი სამწუხარო სურათს წარმოადგენენ, რაიც დიდათ დამაფიქრებელია, თუ საქმეს კარგათ ჩაუკვირდებით. რა უშველის? რა გზა გამოაცოცხლებს სოფლებს ამ საქმეში, რომ იქაც ცოტათი მაინც კულტურული მუშაობა დაიწყოს და ახალ სკოლას თანდათანობით საფუძველი ჩაეყაროს?

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ იქ, სადაც სკოლას სათანადო ცოდნით აღჭურვილი და იდეიურათ მომზადებული მასწავლებელი არა ჰყავს, იქ სახალხო განათლების საქმეს წარმატება ვერ ეღირსება.

მე ზემოთ ვსთქვი, რომ მომეტებული ნაწილი (97%) ჩვენი სოფლის მასწავლებლებისა სრულიად მოუმზადებლები არიან მეთქი, კულტურული მუშაობა სოფლათ არ შეუძლიანთ; თუ ეს ნაკლი არ იქმნა თავიდან აცილებული ისე შეუძლებელია სახალხო სკოლების გამოცოცხლება და სოფლათ კულტურულ მუშაობის დაწყება დღევანდელ დროს.

ამ სახით მაშ მასწავლებლების მომზადებაა საჭირო. მათი მომზადება კი როგორ შეიძლება? მათთვის სპეციალურათ პედაგოგიური კურსების გამართვით. სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის ამგვარ სპეციალურ კურსების გამართვაზე ეს ორი წელიწადია საზოგადოებაში აზრი წარმოიშო, მაგრამ ეს კი ვერავინ განახორციელა, და მიზეზათ იმას ასახელებდენ, რომ დღევანდელ რეაქციის დროს მოუხერხებელია ამ გვარ კურსების გამართვაო.

ამ გვარი კურსების მოწყობა სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის საშობაოთ (ორი კვირით) განიზრახა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამაც, რაზედაც მოიწვევდა 200-300 მასწავლებელს და გამოცდილი ლექტორებიც სატახტო ქალაქებიდან უნდა მოეწვია, მაგრამ ეს ვერ განახორციელა სახალხო უნივერსიტეტმა მხოლოთ იმიტომ, რომ ხსენებულმა დაწესებულებამ 200-300 კაცისთვის უფასო თავშესაფარი და სასადილო ვერ იშოვნა.

დიახაც ამ გვარი საქმე, როგორიც არის მასწავლებელთათვის პედაგოგიური კრუსების გამართვა, მუდამ და ყოველთვის დაბრკოლებას განიცდის, მაგრამ ასეთი დაბრკოლება აუცილებლათ უნდა დაიძლიოს და უეჭველათ წელსვე, ამ მკათათვის ნახევრიდან, ან ოციდან მარიამობის თვის გასვლამდის მასწავლებელთათვის კურსები უნდა მოეწყოს; საქმეს თბილისის ყველა პროგრესიულმა დაწესებულებებმა დიდი თანაგრძნობა უნდა გამოუცხადონ. დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მხოლოთ მასწავლებელთათვის გამართულ პედაგოგიური კურსებით (სხვა და სხვა მეცნიერებით) შეგვიძლიან მასწავლებლებში შევიტანოთ ახალი აზრი, კულტურულ მუშაობისთვის მომზადნენ და უმოქმედობას მიცემული სკოლები გამოვაცოცხლოთ.

კურსების გამართვა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ უნდა იკისროს, რათაც უნდა დაუჯდეს, თავისი განზრახული აზრი სისრულეში უნდა მოიყვანოს. სხვა დაწესებულებებთან ერთად კურსების გამართვაში უმახლობელესი მონაწილეობა უნივერსიტეტის გამგეობასთან ქალაქის თვით-მართველობამ უნდა მიიღოს.

როგორც მაგალითად კურსები თუ მოეწყობა 100-200 კაცისთვის ამათ ღამის გასათევათ ოთახები დასჭირდებათ, ამ გვარ უფასო ოთახების შოვნაში (მასწავლებელთა თავშესაფარებლათ გამოდგება რომელიმე გიმნაზიის შენობა, ან და უნივერსიტეტის გამგეობამ ხელმეორეთ მიჰმართოს სასტუმრო-რესტორანების პროფ. საზოგ. თავისი შენობები დაუთმოს მასწავლებელთ) ქალაქის გამგეობა უნდა დაეხმაროს უნივერსიტეტის გამგეობას; მასთან საჭირო იქნება მასწავლებელთათვის, რადგან მცირე ჯამაგირს იღებენ და შეძლება არა აქვთ, დაარასდეს მათთვის უფასო სასადილო, ან იაფ-ფასიანი სასადილო-საჩაიე. აქაც ქალაქის გამგეობა უნდა დაეხმაროს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას. უკანასკნელი დღესვე უნდა შეუდგეს ამ საქმის თადარიგს; მან საუკეთესო ლექტორები უნდა მოიწვიოს სატახტო ქალაქებიდან.

მასთან სახალხო უნივერსიტეტმა, თუ ამას სისრულეში მოიყვანს, დღესვე ამაზე ნებართვა უნდა აიღოს და განცხადებებით გაზეთების საშუალებით მიჰმართოს სახალხო მასწავლებლებს, თუ რამდენ კაცს აქვს ლექციაზე დასწრების სურვილი; როცა მასწავლებელთაგან ამ გვარ პასუხს მიიღებს, ამ რიცხვის და გვარათ შეუდგება ლექციების მოწყობის მარიამობის თვეში. ლექციების მოსმენა მასწავლებელთათვის, რასაკვირველია, უფასოთ ვერ მოხერხდება, რადგან ყველაფერი რომ მუქთათ ან იაფათ მოაწყოს გამგეობამ, ლექტორებს თავიანთ

*) „ეყვედრინება“, ამ სიტყვას იმიტომ ვხმარობ, რომ მთავრობა თავის სკოლებში მომეტებულ ნაწილათ უვიც მასწავლებლებს ჰგზავნის, სკოლა და მასწავლებელი ხალხს არაფერ სარგებლობას აძლევს, სკოლის მთავრობა კი ოფიციალურ ქაღალდებში იხსენიებს ამა და ამ სოფელში სკოლაა დაარსებული და მასწავლებელი გვყავსო.

გასამრჯელო უნდათ. ამისათვის მასწავლებელნი შეიძლება თვიურათ 6 მარეთი გადაიხადოს, როგორც მოსკოვში გამართულ კურსებზე იყო შარშან. მაგალითად ლექციის მოსმენაზე უკანასკნელმა 100 კაცმა რომ განაცხადოს სურვილი, შედგება ყველასგნით 600 მან; ამ ფულით ლექტორების მოწვევა შეიძლება.

მასწავლებელნი, რომელნიც ხალხის სამსახურით არიან გამსჭვალულნი და ცოდნა კი არ შესწევთ, ამ გვარს ლექციებზე უკანასკნელ თავის გროშსაც არ დაიშურებენ.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი კულტურული მოქმედება მარტო ქალაქ ადგილას არ არის საკმარისი; ასეთი მოქმედება სოფლათაც უნდა გადაიტანოს, იქაც უნდა განაცოცხლოს შეჩერებული აზროვნება.

კულტურული მუშაობა სოფლათ მასწავლებლის მომზადებით შეიძლება.

ვიქონიოთ იმედი, რომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა არ დაიშურებს მეცადინეობას, რათა სახალხო მასწავლებელთათვის ხსენებული კურსები მოეწყოს ამ ზაფხულსვე.

კოტე.

შენიშვნა.

(სარედაქციო კოლეგიის წევრთა **ს—სა** და **მ—ს** სიპასუხოთ.)

ჩვენი ამხანაგები ერთობ ბევრს **ლაპარაკობენ** ლიტერატურულ რიგიანობასა, ეთიკასა და გულწრფელობაზე, და სწორეთ ამ მხრით არის საინტერესო დასახელებულ ამხანაგთა შენიშვნა-განმარტება ლ. დ-ს Pro domos sua-ს გამო (იხ. „ნაპერწკალი № 21). ამხ. ს-ი თავის **მცირე შენიშვნაში** ერთობ ენაწყლიანობს. დეე, იმასლაათოს! ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ის არ შესდგომოდეს გულუბრყვილო თავის მართლებას და ცდილობს ამავე დროს ვითომ გააბათილოს ამხ. ლ. დ-ს მიერ ნათქვამი: „ჩემს გარდა, ყველა სხვა წევრები, გაილესენ „**ერთი წევრის** პიროვნებაშიო“. ამხ. ს-ი სწერს: „**სრული სიმართლეა** მხოლოთ ი', რომ მე განვცდ'ადე: დადგენილების შინაარსი არ მახსოვს. ამიტომ არ მახსოვს არც ის, აღიარებს დადგენილება კულტერულ აკტონომიას და ამის გამო მე იძულებული ვარ ხმის მიცემისაგან თავი შევიკავო მეთქი“.

მართალია პარტიაში ნაციონალური საკითხი მიჩქმალული იყო დღემდე პრაკტიკულათაც და თეორიულათაც, მაგრამ დადგენილების მიღების დროს ის ყოველთვის იჩენდა თავს, და შემდეგ დადგენილება მის შესახებ ტარდებოდა ცხოვრებაში. შეიძლება ამხ. ს-ს დავიწყებოდა დადგენილების ესა თუ ის კერძო შეხედულება და არა მთელი დედა-აზრი, მთელი ალფა და ომეგა. მაგრამ არ შეიძლებოდა მას არ ხსომებოდა თუ რა იყო დადგენილებაში აღიარებული: **ფართე საოლქო თვით-მართველობა** თუ **კულტურული ავტონომია.** თუ დადგენილებათა ასეთი დირექტივები ავიწყდება ამხ. ს-ს, როგორ შეუძლია იყოს ის რედაქციის კოლეგიის წევრათ და ორგანოს ხელმძღვანელათ? აშკარაა, აქ სხვაფერ არის საქმე, მაგრამ ჩავყვეთ ქვევით: „რაც შემეძლო მეთქვა დ. დ-ს „სასარგებლოთ“,—განაგრძობს ს-ი—ეს მხოლოთ ის, რომ „**არა მბრონია**“—დადგენილება კულტურულ ავტონომიას აღიარებდეს მეთქი. ხოლო მის შემდეგ კი, როდესაც „ერთმა წევრმა“ კრებაზე დადგენილების შინაარსი ზეპირათ გადმოგცა („ერთმა წევრმა“ კი სთქვა კრებაზე, რომ ფართე ოლქობრივი თვით-მართველობა იგივე კულტურული ავტონომიაო, ნუ თუ ამან მოგცეთ მეტი სიბუთი?! მახსოვს! არ.) მეტი სიბუთი მქონდა დ. დ-ს მოწინააღმდეგე აზრს მივემხრობოდი, მაგრამ მე არც ეს ვისურვე და გადაწყვეტილებით განვაცხადე: ვერ მივემხრობი ვერც ერთ მხარეს, სანამ თვით დადგენილებას არ წავიკითხავ მეთქი. ამ ჩემ გადაწყვეტილებას მე ბოლომდე მტკიცეთ (დიახ, ბოლომდე! არ.) ვადექი და შეურეევლათ თავს ვიკავებდი ხმის მიცემისაგან, ასე წარმოიდგინეთ, მას შემდეგაც კი, როდესაც „ერთი წევრი“ მკაცრი სიტყვებით შეეხო დ. დ-ს, სიდან მოელანდა ამ უკანასკნელს, თითქო ამის შემდეგ უარყოფა ჩემი შეხედულება და სავსებით დავეთანხმე სტატიას.“

აი ასეთ განმარტებებზე ნამდვილ ზე-გამოჭრილია—„ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“-ო. აიღეთ, ამხანაგო ს-ი „ცისკარი“ № 8-ი და იქ წაიკითხავთ მეხუთე სვეტზე **რედაქციისაგან.**

თუ თქვენ შეურყეველათ თავს იკავებდით ხმის მიცემისაგან ინციდენტის შემდეგაც, რად არაა მოხსენებული, რო ერთმა თავი შეიკავა ხმის მიცემისაგანო, თუ ის კია ნათქვამი, რომ შენიშვნა ეკუთვნის რედაქციის ერთ წევრსო. მაგრამ, შეიძლება, ესეც იგრე დაგავიწყდათ, როგორც დადგენილება!? აშკარა კია, რომ თქვენ უარგიყვიათ თქვენი „შეურყეველი“ თავის დაჭერა და „მტკიცეთ“ არ დაგიცავთ თქვენი შეხედულობა, რადგან დასთანხმებიხართ „ერთ წევრს“ თქვენი შეხედულებისა და რწმენის წინააღმდეგ.

ამხ. მ-აც ძალიან გაუწიწმატებია ამხ. ლ. დ-ს „Pro domos sua-ს.“ ის (მ-ა) ამბობს, ვითომ ამხ. ლ. დ-მა ვერ შეძლო კოლეგიისთვის პასუხი გაეცა და თვით კოლეგიის წევრებს აბრალებს „ერთ პიროვნებაშა გათქვეფასო“. ეს სადაო კითხვის პირად კინკლაობაზე გადატანა მისთვის (ლ. დ-ს.) უკანასკნელი თავშესაფარია, საიდანაც ის თავის პოზიციის გამაგრებას აპირებსო და სხვა. სწორეთ საკვირველი მსჯელობაა? ამხ. მ-ს სურს კოლეგიაზე ილაპარაკო, მას პასუხი გასცე, მხოლოთ კოლეგიის წევრებს კი არ უნდა შეეხო, თორემ ეს პირადი კინკლაობა იქმნება და სხ. ამხ. მ-ა, კოლეგია განყენებული რამ ხომ არ არის. ის შესდგება ამა თუ იმ პირებისაგან, და ის, რომ დაახასიათო აუცილებლთ საჭიროა შეეხო მის წევრებსაც. ამხ. ლ. დ-ც აგრე იქცევა სწორეთ, ის იმოდენათაა „კერძო პირთა“ მოქმედებით დაინტერესებული, რამოდენათაც ეს სადაო კითხვას ეხება და

ნათელს ფენს, აქ არავითარი კინკლაობა არაა ლ. დ-ს მხრით, მხოლოთ თქვენის მხრით კი სიტყვის ბანზე აგდებაა და იმ მარყუჟის კისრიდან გადაძრობის სურვილია, რომელიც ცნობილ ინციდენტის დროს გადაიცვით. ამხ. მ-ა სწერს, რომ ჩემი **აზრები „ერთი პირის“** სასარგებლოთ არ უარმიყვიაო, არ ვეთანხმებოდი წერილის ავტორს და არც ეხლა ვეთანხმები ერთი ადგილის გაგებაში, მაგრამ ტერმინებისათვის ბრძოლა არ იძლევოდა საბუთს წერილისთვის შენიშვნა გაგვეკეთებიაო. წერილში გამოთქმული აზრი არ ეწინააღმდეგებოდა „კომპეტენტურ დაწესებულების“ მიერ გამოთქმულ შეხედულებას და მეც ამისთვის მივეცი შენიშვნის მოხსნას ხმაო. რა გულბრიყვილობაა! განა შეიძლება ტერმინების ასე აბუჩათ აგდება?

ამიერ კავკასიის საოლქო თვითმართველობა და აქ მცხოვრებ ერთა კულტურული ავტონომია, დიახ, ტერმინებია, ისე როგორც ტერმინებია „რესპუბლიკა“, „მონარქია“ და სხ. ამ ტერმინებს ერთი მეორის ნაცვლათ ხმარება რომ არ შეიძლება, ეს ყველამ იცის. ეს იცის ალბათ მ—ამაც.

ფართე ოლქობრივი თვით-მართველობა და კულტურული ავტონომია, რომ ერთი და იგივე მცნება იყოს, ეს აგრე იქმნებოდა აღნიშნული „კომპეტენტურ დაწესებულების“ დადგენილებაშიაც. მაგრამ ყველამ იცის, რომ კულტურულ ავტონომიას თხოულობს „ბუნდი“ და ფართე ოლქობრივ თვით-მართველობას ამიერ კავკასიისათვის რუს. სოციალ-დემოკრატია. ეს იცის ალბათ მ-ამაც, ორგანოს ხელმძღვანელმა. მაშასადამე „ერთი წევრის“ განმარტება არ იყო კომპეტენტურ დაწესებულების განმარტება და ის არ აძლევდა კოლეგიის წევრთ საბუთს, რომ მას დასთანხმებოდენ, მგონი, ამხ. მ-ს ახსოვს თუ რა დიდი კამათი გამოიწვია მესამე დუმაში ადრესის ერთმა ტერმინმა **„თვითმპყრობელობა“** და რა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს კადეტებმა, როდესაც ეს ტერმინი ამოღებულ იქმნა. არა გვგონია, ვინმეგარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა—დუმის დასახელებულ დებატებს „პირად კინკლაობათ“ სთვლიდეს.

ამხ. მ-ა ამბობს, ცხარე სიტყვები აქ მოსატანი არ არისო, მე ვიცავდი კომპეტენტური დაწესებულების შეხედულებას და არა ერთი პირისასო.“ კარგი და პატიოსანი. მაგრამ კომპეტენტური დაწესებულების დადგენილებაში დიოგენის ფანრით, რომ ეძებოთ **„კულტურული ავტონომია“** ვერ იპოვით, ეს იყო მხოლოთ იმ წერილში, რომელსაც **„ერთი წევრი“** იცავდა; აშკარაა, დადგენილებას გადაუხვიეთ და მიემხრეთ **„ერთ წევრს“** „ცხარე სიტყვების შემდეგ“.

ამბობთ, რომ, ლ. დ—ს შენიშვნის თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავიო; საკვირველია, ამხ. მ—მ იცოდა, რომ **„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმ“**-ში გამოთქმული აზრი არ ეთანხმებოდა დადგენილების შეხედულებას, მაგრამ ის მიემხრო ერთი **„წევრის აზრს“** და წინააღმდეგი იყო ლ. დ—ს შენიშვნის, როდესაც მას, როგორც კოლეგიის წევრს და პასუხის მგებელს დადგენილებისათვის, არ ჰქონდა ამის უფლება; ამხ. ს— დადგენილება არ ახსოვდა და ის თავს იჭერდა, მხოლოთ ცხარე სიტყვების შემდეგ ერთიც და მეორეც მიემხრო **„ერთ წევრს“** თავიანთ აზრების წინააღმდეგ. როგორც ეს ზევით დავინახეთ,—აი, სწორეთ ეს არის ერთის პიროვნებაში გალესვა, რომელიც ამხ. ლ. დ-ს აღნიშნა.

დასასრულ, არ შემიძლია არ შევნიშნო X-ს, რომელიც გაიძახოდა, რომ მე შევნიშნე ლ. დ-ს, რომ მას შენიშვნა გაეკეთებია თავის წერილისათვის „ფედერალისტებთან“ კამათის შესახებო, მაგრამ მან, როგორც რედაქციაში გაბატონებულმა პირმა არ მიაქცია ყურადღებაო. კარგი და პატიოსანი. ვეკითხები ამხ. X-ს და მთელ კოლეგიას, სადაც ეხლა ლ. დ-ლი არ არის, რათ არ გაუკეთეს შენიშვნა ამხ. შვარცის ფელეტონს **„ნაციონალური კითხვა და მუშათა კლასი“?** მე-9-ე („ნაპერ.“ №23) წერილში შვარცს მოჰყავს ბრიუმერის პარტეიტაგის რეზოლიუცია და გადაჭრით აღიარებს, რომ **ავსტრო-უნგრეთელ სოციალ-დემოკრატების ნაციონალური პროგრამა** შეიძლება საერთო მუშათა კლასის სოციალურ პროგრამას შეუერთოო და ნაციონალური შინაარსი თავის კლასთა ბრძოლის საბოლოოკ მიზნს დაუკავშიროს და ასე ამ სახით **საერთაშორისო მუშათა კლასის ნაციონალურ პროგრამათ გამოვიტანოთო“** (ხაზს ჩვენ უსვამთ). რას ამბობს ეს პროგრამა? ეს პროგრამა აღიარებს ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას ერთ სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ სხვა და სხვა ერებისას და მათს ფედერატიულათ შეკავშირებას და შეთანხმებას... რომ ამის მგზავსი არაფერი არ არის დადგენილებაში და ეს ა'ც „ერთ წევრს“ დაუდასტურებია, მაგრამ შეიძლება იმიტომ არ უკეთებთ შენიშვნას, რომ ის **„ერთი წევრი“** დღეს აქ აღარ არის!..

არისტიდი.

მოვითხოვეთ ყველგან

საუკეთესო ქარხნის წყალი

მ. ლალიძის & ამხ.

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმეფფება **გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411.**

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.